

ენებათა წარმწყმედელისა მის სანატრელისა
სიმდაბლისათჳს

თაჳი 25

1. რომელსა ენებოს სიტყვთ გამოცხადებაჲ და უმეცართა საცნაურ-ყოფაჲ ჭეშმარიტისა მის სიყუარულისა ღმრთისაჲ ჭეშმარიტებით, და სიმდაბლისა ყოვლადწმიდისა განცხადებულად, და სანატრელისა მის სინმიდისა და ბრწყინვალეებისა მის ღმრთისამიერისა, და შიშისა მისისა უტყუელისა, და გულსავსებისა მის საღმრთოჲსა, რომელი იქმნების გულსა შინა, ესევეთარი მსგავს არს კაცსა, რომელსა ენებოს სიტყვთ და იგავით ჩუენებად სიტკბოებაჲ თაფლისაჲ მათდა, რომელთა ყოვლად არა ეხილის გემოდ თაფლისაჲ; და მეორეჲ ესე, რომელი სიტყვთ თაფლისა სიტკბოებასა თარგმნის, ცუდად მრავლისმეტყუელებს, ხოლო პირველი იგი – ანუ გამოუცდეღ არს სრულიად სიტყუათა მათ და საქმეთა, რომელთა თარგმნის, ანუ ცუდადმზუაობრობისაგან ძლიერად მოიკიცხვის.

2. ოდესმე შესაკრებელსა მამათასა შემოვიდა შორის გამოსაძიებელად საუნჯეჲ დაკრძალული კეცის ჭურებითა და უფროჲსლა კეცის გუამებითა, რომლისა-იგი ბუნებაჲ სიტყვთ არა საცნაურ იყო, არამედ ოდენ ზედანერილი სახელისა მისისაჲ საცნაურ იყო – ესე იგი არს სიმდაბლჲ სანატრელი. და რავდენნიცა სულითა ღმრთისაჲთა ვიდოდეს, იგინი შემოკრბეს სულიერსა მას სამშჯავროსა, და თითოეულსა ფიცარნი ღმრთივნერილნი მოაქუნდეს მათ თანა სიბრძნისა და მეცნიერებისაჲ. და იქმნა გამოძიებაჲ დიდი ცნობად, თუ რაჲ არს ბუნებაჲ სიმდაბლისაჲ მის სანატრელისაჲ. და რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ: „სიმდაბლჲ არს დავინყებაჲ ქველისსაქმეთა თჳსთაჲ კრძალვითი“; და სხუათა თქუეს, ვითარმედ: „სიმდაბლჲ არს, რაჲთა კაც-

სა შეერაცხოს თავი თვისი უკუანადსკნელეს და უცოდვილეს ყოველთასა“; და სხუათა თქუეს, ვითარმედ: „სიმდაბლჳ არს ცნობად კეთილად უძღურებისა თვისისა“; და სხუათა თქუეს, ვითარმედ: „სიმდაბლჳ ესე არს, რადთა კაცი უსწრობდეს შევრდომად მოყუსისა ჟამსა განრისხებისასა“; და სხუათა თქუეს, ვითარმედ: „სიმდაბლჳ ესე არს ცნობად მადლისა და ნყალობისა ღმრთისა“; და სხუათა თქუეს, ვითარმედ: „სიმდაბლჳ არს ცნობად შემუსრვილი სულისა და ნებისა თვისისა უარის-ყოფად“.

3. ხოლო მე რაჟამს ესე ყოველი მესმა და თავსა შორის ჩემსა მოსწრაფებით გამოვიძიე და სანატრელისა მის ბუნებად ამათ სიტყუათა მიერ ვერ გულსჳმა-ვყავ, ამისთვის უკუანადსკნელ ყოველთასა, ვითარცა ძალღმან, მოვილოკე ნაბიჭევი, დაცკვენებული ტაბლისაგან პირთა მათ სანატრელთადასა; და ამას განვანესებ და ვიტყვ ამის საქმისათვის, ვითარმედ: სიმდაბლჳ მადლი არს გამოუთქუმელი, მათ მიერ ოდენ საცნაური, რომელთა მოუგიეს იგი. სიმდიდრე არს მიუწთომელი, სახელისდებად არს და ნიჭი ღმრთისა. რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ისნავეთ არა ანგელოზისაგან, არცა კაცისაგან, არცა წიგნისაგან, არამედ ჩემგან, შემოქმედისა ყოველთადასა, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა და გონებითა, და ჰპოოთ განსუენებად ბრძოლათაგან და ლხინებად გულისსიტყუათაგან სულთა თქუენთა“ (მდრ. მათ. 11,29).

4. სხუად არს ხილვად ამის წმიდისა ვენაჯისაჲ ჟამსა ზამთრისა მის ვნებათადასა და სხუად ხილვად აქუს არესა მას შინა სათნოებათასა, და სხუად ხილვად არს მისი ზაფხულსა მას შინა და მკასა ნაყოფთა მათ კეთილთასა, დაღათუ ყოველნივე სახენი მისნი ერთად შემოკრებებიან სიხარულად და მხიარულებად; ამისთვისცა მსგავსად სახეთა მისთა არიან საქმენიცა მისნი. რამეთუ, რაჟამს აღყუავილებად იწყოს ჩუენ შორის ყოვლადქებულისა მის ტევანმან, მაშინ ვინციო

შრომით მოძულებად ყოველსავე დიდებასა და ქებასა კაცობრივსა, და განვაგდებთ თავთა ჩუენთაგან ყოველსავე გულისწყრომასა და მრისხანებასა. ხოლო რაჟამს აღორძინდებოდის დედოფალი ესე სათნოებათაჲ სულსა შინა სულიერითა მით ჰასაკითა, მაშინ არარად და უფროჲსლა საძაგელებად შეგუერაცხნიან ჩუენ მიერ ქმნილნი ქველისსაქმენი. და მარადღე ესრეთ ვჰგონებდით, თუ შევსძინებთ ტვრთსა ცოდვათა ჩუენთასა, და ჩუენ უცნაურად განგუებნის იგი, და ჩუენ ზედა მოსრულთა ღმრთისა მიერ მადლთა, ვითარცა საშველისა ჩუენისა განმრავლებად ვხედვდით უღირსებისა ჩუენისათჳს, და მაშინ არნ გონებაჲ ჩუენი წარუპარველ და დაკრძალულ საუნჯესა შინა შემუსრვილებიასა; და უცნებანი ოდენ და ბგერანი იგი მპარავთანი ესმოდინ და არავისგან ევნებინ მათგანისა, რამეთუ სიმდაბლჳ საუნჯჳ შეუხებელი არს.

5. აჰა ესერა, აღყუავებისათჳს და მცირედისა აღორძინებისათჳს მარადის შუებულისა ამის ნაყოფისა მცირედ სიბრძნისმეტყუელებად ვიკადრე; ხოლო თუ რაჲ არს სრული იგი ჰასაკი და ნაყოფიერებაჲ მღდელშუენიერისა მის, უფალსა ჰკითხეთ მონათა მაგათ უფლისათა და მან გაუნყოს, რამეთუ მე სიტყვთ გამოჩინებაჲ მისი ვერ ძალ-მიც.

6. სიმდიდრისათჳს და სიმალლისა ამის სანატრელისა თქუმაჲ შეუძლებელ არს; ხოლო ბუნებისათჳს მისისასა სიტყუაჲ ყოვლად მოუგონებელ არს, არამედ სახეთა მისთათჳს ძალისაებრ გულისწყმის-ყოფისა ჩუენისა ვიტყოდით.

7. სინანულსა ჭეშმარიტსა და გლოვასა განშორებულსა ყოვლისაგანვე ბნისა, და ყოვლადწმიდასა მას ახლად-მოსრულთა სიმდაბლესა ეგოდენი განყოფილებაჲ აქუს ურთიერთას, ვითარ-იგი არს ფქვილი და ცომი და პური, რამეთუ შეიმუსრვის და დაიფქვის სული სინანულისა მიერ ჭეშმარიტისა, ხოლო შეიერთვის ვითამე და, რაჲთა ესრეთცა ვთქუა, შეიზილების ღმრთისა მიმართ წყლითა მით ცრემლთა მათ

კეთილთადათა, და მერმე ალექციინების ცეცხლი უფლისა-
მიერი მის შორის, და შეიცხვების და განმტკიცების სანა-
ტრელი იგი სიმდაბლჳ, უფუარი იგი და აღუზვავებელი.
ამისთვისცა, ერთ ძალ იქმნის და შეიერთის სანატრელი ესე
სამკეცი ჯაჭჳ, და უფროხლა მშჳლდი ცისაჲ* და შეერთებუ-
ლად იყვნიან საქმენიცა და ძალნი მისნი. და რომელიცა-რად
სთჳუა ამათ სამთაგანისაჲ, თუ მისი არს, იპოოს იგი მეორი-
საჲცა და მესამისაჲ. ამისთვისცა მოკლედ გამოვაჩინო წინაშე
თჳუნსა.

8. საქმჳ კეთილისა ამის და დიდებულისა სათნობათა
სამებისა პირველი – ესე არს შეწყნარებაჲ და თავსდებაჲ
ყოვლისა გინებისა და შეურაცხებისაჲ სიხარულით, რა-
ჴამს განმარტებულთა ჴელითა სულისაჲთა შეიწყნარებნ
და შეიტკობნ კაცი ყოველსაჲე ყუედრებასა და კდემასა,
ვითარცა წამალთა, უჩინომყოფელთა სენტა სულისათა
და აღმჳოცელთა ცოდვათა დიდთაჲ. ხოლო მეორჳ სახჳ
კეთილისაჲ მის სამ-ძლისა სათნობათაჲსა არს სრულიად
მოკუდინებაჲ გულისწყრომისაჲ, და შემუსრვილებაჲ გული-
საჲ, და ბრალობაჲ თავისა თჳსისაჲ ყოველსაჲე ზედა. ხოლო
მესამჳ კიბჳ კეთილი არს თჳსთა სათნობათა სრულიად
უჯერობაჲ და ურწმუნობაჲ და მარადის გულისთჳუმაჲ
სწავლისაჲ სარწმუნოებით.

9. „დასასრული რჩულისა და წინაჲსწარმეტყუელთაჲ
ქრისტე არს სიმართლედ ყოვლისა მორწმუნისაჲ“ (რომ.
10,4); და დასასრული ყოველთაჲე არაწმიდათა ვნებათაჲ
ცუდადმზუაობრობაჲ და ამპარტავანებაჲ არს, რომელთაცა
მკლველი არს წმიდაჲ ესე და სანატრელი ირემი და ჴფარავს
მეუღლესა მისსა, რომელსა თანა იყოს, ყოვლისაჲე გესლი-
სა სასიკუდინოჲსაგან შეუხებელად. რამეთუ სადამცა გა-

* „მშჳლდად“ სახელ-სდვა სიმდაბლესა, მრავალფეროანთათჳს
კეთილთა და მადლთა მისთასა.

მოჩნდა მას შინა გესლი ორგულებისა და ძკრისზრახვისაჲ, სადამცა დაიმაღა გულსა მისსა გუელი ბოროტი, და არამცა მეყსეულად განქიქნა და მოაკუდინა? არცა არს შეერთებასა შინა მისსა სიძულილისა ხილვად, არცა დაუფჯერებლობისა და სიტყვსგებისა სახცჳ, გარნა თუ სიტყუად იყოს მართლმორწმუნეობისათჳს ურწმუნოთა მიმართ.

10. რომელი ამას სანატრელსა შეერთოს, იქმნას იგი ტკბილ, სახიერ, მოწყალე, დაწყნარებულ, ბრწყინვალე, შეუნუხებელ, მღკდარე, მოსწრაფე, და რად მრავალსა ვიტყოდო, უვნებელ იქმნას ყოვლისაგან ვნებისა, რამეთუ თქუმულ არს, ვითარმედ: „სიმდაბლესა შინა ჩუენსა მომიწსენნა ჩუენ უფალმან და მიწსენნა ჩუენ მტერთა ჩუენთაგან“ (ფსალმ. 135,23-24) და ვნებათა და ბრძოლათა“.

11. მონაზონმან მდაბალმან არა გამოიძინეს დაფარულნი და გამოუთქუმელნი საქმენი, ხოლო ამპარტავანი გამოიკულევდეს საშჯელთა ღმრთისათა.

12. მონაზონსა ვისმე სულიერსა გამოუჩნდეს ეშმაკნი პირისპირ და ჰნატრიდეს, ხოლო ყოვლადბრძენმან მან ბერმან ჰრქუა: „უკუეთუ თქუენ დააცადოთ ქებაჲ ჩემი, თქუენისა განშორებისაგან ვცნა, ვითარმედ დიდ ვარ; უკუეთუ კულა ქებაჲ ჩემი არა დააცადოთ, მაშინ თქუენისა ქებისაგან ვცნა არანმიდებად ჩემი, რამეთუ ‘საძაგელ არს წინაშე უფლისა ყოველი მაღალი გულითა’ (იგავ. 16,5). ან უკუე გან-თუ-მემორნეთ ჩემგან, თვტცა დიდ-ქმნილ ვარ; უკუეთუ კულა მაქებდეთ მე, მოვიპოვო თქუენითა სიმდაბლც“.

ხოლო იგინი განცუფრდეს ორ-კერძოვე ძლევასა მისსა ზედა და სიბრძნესა და უჩინო იქმნეს.

13. ნუ იყოფინ სული შენი, ძმაო, ჯურღმულ ამის ცხოველისა წყლისა, რომელი ოდესმე აღმოეცენებინ და ოდესმე განწმის სიცხისაგან ცუდისა დიდებისა და სიმალლისა. არამედ იყავნ იგი წყარო უვნებელობისა, მარადის აღმომაცენებელი წყალსა შემუსრვილებისასა.

14. უნყოდე, საყუარელო, ვითარმედ „ღელეთა განამრავ-
ლონ იფქლი“ (ფსალმ. 64,14) და ნაყოფი სულიერი.

15. ღელე არს სული მდაბალი შორის მათათა შრომისა და
სათნოებისათა, შეურყეველად და აღუზუავებლად მყოფი.

16. არა ვიმარხე, არცა ვიღვძე, არცა დავწევ ქუეყანასა
ზედა, არამედ „დავმდაბლდი და მაცხოვნა მე უფალმან“
(ფსალმ. 114,6).

17. სინანული აღადგენს და აღამაღლებს სულსა, და
გლოვად ჰრეკს კარსა ცისასა, და სანატრელი სიმდაბლჳ გა-
ნალებს. ხოლო მე ვიტყვ და თაყუანის-ვსცემ სამგუამოვნე-
ბასა ერთარსებით და ერთარსებასა – სამებით.

18. ყოველსავე ხილულსა განანათლებს მზჳ და ყოველ-
სავე საქმესა სათნოებისასა განამტკიცებს სიმდაბლჳ.

19. უკუეთუ არა იყოს ნათელი, ყოველივე ბნელ არს, და
უკუეთუ არა იყოს სიმდაბლჳ, ყოველი შრომად ჩუენი ამაო
არს.

20. ერთი ქუეყანად³⁸ არს ყოველთა დაბადებულთა შო-
რის, რომელმან ერთგზის იხილა მზჳ. და ერთი გულისსი-
ტყუად არს, რომელმან მრავალგზის შვის სიმდაბლჳ.

21. ერთსა დღესა³⁹ შინა ყოველთა მკვდრთა ქუეყანისათა
განიხარეს, და ერთ არს ესე სათნოებად, რომელსა ეშმაკნი
ვერ იჩემებენ.

22. სხუად არს სიმაღლჳ და სხუად არს არასიმაღლჳ და
სხუად არს სიმდაბლჳ, რამეთუ პირველი იგი მარადღე სხუა-
თა განიკითხავს; და მეორჳ არავის განიკითხავს, არამედ
არცა თკსსა თავსა დაშჯის; ხოლო მესამჳ იგი დაუშჯელ არს
და მარადის დაშჯის თავსა თკსსა.

23. სხუად არს სიმდაბლჳ და სხუად არს მოღუანებად

³⁸ „ქუეყანასა“ მას იტყვს მენამულისა ზღკსასა, რომელი გამო-
აჩინა მოსე, და კუალად ისუ – იორდანესა ზედა.

³⁹ „ერთი დღე“ არს იგი, რომელსა შინა ნოე კიდობნისაგან გამო-
ვიდა.

სიმდაბლისა მიმართ და სხუად არს ქებად მდაბლისაჲ. რამეთუ პირველი იგი სრულთაჲ არს, და მეორე იგი – ჭეშმარიტთა მორჩილთაჲ, ხოლო მესამე – ყოველთა მორწმუნეთაჲ.

24. რომლისა შინაგანი მდაბალ იყოს, ეგევითარი არა წარიპარვის ბაგეთა თვსთა მიერ, რამეთუ რომელი საუნჯესა შინა არა იღვას, კარსა არა გამოვალს.

25. ცხენი ვიდრემდის მარტოჲ არნ, ჰგონებენ, ვითარმედ მალე არს, ხოლო რაჟამს შევიდის ასპარეზსა, მაშინ სცნის უძლურებაჲ თვისი.

26. რაჟამს კაცი ბუნებითა⁴⁰ ზედა არა ზუაობდეს, სასწაული არს ესე, ვითარმედ უწყიეს კურნებად; ხოლო ვიდრემდის სულმყრალობასა მას იყნოსდეს, სუნნელებასა ვერ იყნოსებს.

27. თქუა ყოვლადწმიდამან სიმდაბლემან, ვითარმედ: „არავის ერჩოდის, არცა აცილობდეს, არცა შეიყუაროს დიდებაჲ, არცა მიერჩდეს წინამძღურობად ტრფიალი ჩემი, ვიდრემდის მე შემომეყოს. რამეთუ, ვინაჲთგან მე შემერთოს, მიერთგან მისდა რჩულ არა არს“.

28. მონაზონსა ვისმე, რომელი მოსწრაფე იყო ამის სასატრელისა მოგებად, მოუჭდეს ეშმაკნი და დასთესეს ქებაჲ მათმიერი გულსა შინა მისსა. ხოლო ნეტარმან იმსახურა ღონე კეთილი ძლევად მათდა, და აღდგა და დაწერნა კედელსა ზედა სახლისა მისისასა სახელები დიდთა და მაღალთა სათნოებათაჲ, ვითარ: სიყუარული სრული და სიმდაბლე ანგელოზებრი, და ლოცვაჲ წმიდაჲ და სინმიღე გამოუთქუმელი და მსგავსთა ამათაჲ. რაჟამს იწყიან გულისსიტიყუათა ქებად მისდა, თქვს მან: „გუალე, წარვიდეთ სამხილებელისა მიმართ“. და მივიდის და აღმოიკითხის სახელები იგი და ჰრქვს თავსა თვისსა: „ჰ, საწყალობელო, ოდეს ესე ყოველნი

⁴⁰ „ბუნებითად“ იტყვს ჯორციელსა: დიდთა შვილობასა, ველმარჯუეობასა, კეთილად მოსწავლეობასა, ვმაკეთილობისა, შუენიერობასა და ჰასაკისა სიკეთესა.

მოიგნე, მაშინ ჯერეთ შორსვე ხარ ღმრთისაგან, ხოლო ვინადგან ამათგანი ჯერეთ არარად გაქუს, ვითარ ჰზუაობ?“

29. თუ რად არს ამის მიზეზისა ძალი და არსებად, თქუ-მად ჩუენ ვერ შემძლებელ ვართ. ხოლო საქმეთა და ჩუე-ულებათა მისთაგან და სახილავთაგან ხატისა მისისათა მცი-რედ რადმე ვთქუათ არსებისა მისისათსცა.

30. სიმდაბლჳ საფარველი არს ღმრთისად და ვერ-ხედ-ვად თვსთა სათნოებათად.

31. სიმდაბლჳ უფსკრული არს შემუსრვილებისად, შეუხებელ ყოველთავე მპარავთაგან, რომელნი იპარვენ ნა-ყოფთა სულისათა.

32. სიმდაბლჳ გოდოლი არს მტკიცჳ წინაშე პირსა მტე-რისასა (შდრ. ფსალმ. 60,4).

33. ვერად ირგოს მტერმან მისგან, და შვილმან (და უფ-როხლად – გულისსიტყუამან ურჩულოებისამან) ვერად ავნოს მას. და დასცნეს წინაშე მისსა მტერნი მისნი და მოძულენი მისნი დაამდაბლნეს (შდრ. ფსალმ. 88,23-24).

34. სხუანი არიან სასწაულნი სულსა შინა მომგებელისა ამის სანატრელისასა გარეშე ყოველთა მათ პირველთქუ-მულთა საქმეთა, რომელთა მიერ სცნობს იგი სიმდიდრესა სულისა თვსისასა. რამეთუ იგი ყოველნი, რომელნი პირველ ვთქუენით, კაცთა თუალსა არიან და კაცთა მიერ ითქუმი-ან, ხოლო სასწაულნი იგი, რომელნი სულსა შინა იქმნებიან მდაბლისასა, გამოუთქუმელ არიან.

35. მაშინ სცნა ამის ნეტარისად შენ შორის ქეშმარიტად დამკვდრებად, რაჟამს აღივსოს გული შენი ნათლისა მის გამოუთქუმელისა სიმრავლითა და ტრფიალებად მიუთხრო-ბელი იყოს შენ შორის ლოცვისა მიმართ. და პირველ ამათსა – გული არავისი განმკითხველი ცოდვათა ზედა და ცთო-მათა, ხოლო წინამორბედი ამისი არს სიძულილი ყოვლისავე ცუდადმზუაობრობისა და დიდებისა კაცთამიერისა.

36. ყოველსა, რომელსა უცნობიეს ქეშმარიტიცა ცნობი-

თა სულისადათა უძლურებად თვისი, მას მინასა ზედა კეთილსა უთესავს თესლი თვისი, რამეთუ არა-თუ ესრეთ დაეთესოს, არა აღყუავილნეს მუნ სიმდაბლჳ.

37. რომელმან იცნა უძლურება თვისი, იგი მიწთომილ არს შიშსა უფლისასა და მას შინა რად ვიდოდეს, მიიწიოს ბჭეთა სიყუარულისათა.

38. სიმდაბლჳ ბჭჳ არს სასუფეველისადა, და რომელნი მიეახლნენ მას, მუნ შეიყვანებს მათ, რამეთუ ვჰგონებ, თუ ამისთვის იტყოდა უფალი, ვითარმედ: „რომელი მოვიდეს ამას კარსა, შევიდეს და გამოვიდეს სოფლისა ამისგან უშიშად და საძოარი ჰპოოს და მწუანვილოანი სამოთხესა შინა საშუებელისასა“ (შდრ. იოან. 10,9).⁴¹

39. ყოველნი, რომელნი სხვთა გზითა მოვიდეს მონაზონებად, მპარაენი არიან და ავაზაკნი.

40. განვიხილნეთ კეთილად თავნი ჩუენნი, რომელნი-ესე მოსწრაფე და სურვიელ ვართ პოვნად სიმდაბლისა. და უკუეთუ ვპოოთ სული ჩუენი, ვითარმედ ყოვლითა მოსწრაფებითა და ძალითა მისითა ჰნებავს, რადთამცა მოყუასი ყოველსავე ზედა უმჯობეს და უპატიოსნეს ჩუენსა იყო, მაშინ ვცნათ, ვითარმედ ახლოს არს წყალობად.

41. ვითარცა არა იპოოს თოვლსა შინა ცეცხლი, ეგრეთვე არცა მწვალებელთა თანა იპოოს სიმდაბლჳ.

42. ესე სათნოებად მართლმორწმუნეთად არს და მათცა, რომელნი წმიდად და ღმრთისმოყუარე იყვნენ.

43. მრავალნი ვიტყვით თავთა თვისთა ცოდვილად, და ნუუკუე ეგრეთცა გუაქუნ. ხოლო შეურაცხებამან სხუათა მიერმან გამოცადის გულისა სიმდაბლჳ.

44. რომელი მივიდოდის ნავთსაყუდელისა ამის უღელ-

⁴¹ ესე იგი არს, ვითარმედ: რომელი ქრისტეს მსგავსითა სიმდაბლითა შევიდეს მონაზონებად, იგი კეთილად შევიდეს და განვიდეს საწუთროდსა ამის ცხორებისაგან და საძოარი პოოს – საღმრთოდ იგი განსუენებად.

ვოფსა მიმართ, არა დასცხრეს იგი გამოძიებად საქმეთა და სიტყუათა და გულისსიტყუათა და ღონეთა და ადგილთა და ცხორებათა უნდოთა და მდაბალთა, ვიდრემდის შეწვევითა ღმრთისადათა ეგევითართა მათ საქმეთა მიერ განერეს მარადის მღელვარესა მას ამპარტავანებისა ზღუასა და გამოიყვანოს მიერ ნავი სულისა თვისსაჲ, რამეთუ რომელი ამის ბოროტისაგან ოდენ განერეს, მან სხუათა ცოდვათა ადრე პოოს შენდობაჲ, ვითარცა მეზუერემან მან.

45. რომელთამე პირველ-ქმნულნი ცოდვანი, შემდგომად შენდობისაჲცა მათისა, აქუს მარადის მიზეზად სიმდაბლისა, და მათ მიერ შეჰმუსრვენ ბოროტსა მას ამპარტავანებისა ქედსა. და სხუანი ქრისტეს ვნებათა იწსენებენ და მით დაამდაბლებენ თავთა თვისთა, და თანამდებად შეურაცხიან იგინი. სხუანი დღითი-დღე მომავალთა ცთომათა მიერ შეჰმუსრვენ გულთა თვისთა; სხუათა მოწვევულთა განსაცდელთა და სენთა მიერ დედაჲ იგი სათნოებათაჲ შეიტკბეს. ხოლო არიან ვიეთნიმე – არა უწყი თუ ან არიანლა – რომელნი ნიჭთა მიერ ღმრთისათა რაჲზომცა წარემართებოდინ, თავთა თვისთა დაიმდაბლებენ და უღირსად ჰქონან ესევითარისა მის სიმდიდრისაგან. და ეგრეთ არიან, ვითარმცა დღითი-დღე თანანადებსა მათსა განამრავლებდეს. ესე არს სიმდაბლჲ, ესე არს ნეტარებაჲ, ესე არს სრული იგი საზომი.

46. რაჟამს იხილო ვინმე, ანუ გესმას მცირედსა ჟამსა მალალსა უვნებელობასა მიწთომილი, ნუ ჰგონებ, თუმცა სხვთ-კერძო მიწვევულ იყო მუნ, გარნა ამის სანატრელისა მოკლისა და უცთომელისა გზისა მიერ.

47. ეჰა, კეთილნი მეუღლენი – სიმდაბლჲ და სიყუარული, რამეთუ პირველი იგი აღამაღლებს კაცთა, ხოლო მეორეჲ ესე არღარა მიუშუებს ამაღლებულისა მის დაცემად, რამეთუ „სიყუარული არასადა დაეცემის“ (1 კორ. 13,8).

48. სხუაჲ არს შემუსრვილებაჲ და სხუაჲ არს მეცნიერებაჲ თავისა თვისსაჲ, და სხუაჲ არს სიმდაბლჲ.

49. შემუსრვილება ნაშობი არს დაცემათა, რამეთუ რომელი დაეცეს, შეიმუსრვის და ძრწოლით დგას ლოცვა-სა შინა საქებელითა ურცხვნელობითა, მიყრდნობილი კუერთხსა მას ზედა სასოებისასა, ვითარცა მოუძღურებუ-ლი, რომლითაცა ძალსა მას სასონარკუეთილებისასა იო-ტებს.

50. მეცნიერება თავისა თვისსა არს ცნობა უცთომე-ლად თვისსა საზომისა, და ნულილადთაცა ცოდვათა თვსთა სამარადისოდ წსენება და ცებნა.

51. სიმდაბლვ სწავლა არს ქრისტესი უხილავი, რომე-ლი უხილავად დაემკვდრების სულსა შინა ღირსთასა და სი-ტყუათა მიერ ხილულთა არს გამოუთქუმელ.

52. რომელი იტყოდის, თუ მცირედცა რამე ეყნოსების სულნელება ესე ვითარისა მის ნელსაცხებელისა, და ჟამსა ქებისასა მცირედცა რამე აღიძრვოდის გული მისი ქებისა მის მიმართ და უყუარდენ სიტყუანი იგი, ეგე ვითარი ნუ ეკიცხევს თავსა თვსა, არამედ გულისწმა-ყავნ, ვითარმედ ცთომილ არს სრულიად.

53. მესმა კაცისა ვისგანმე, რომელი იტყოდა მწურვალე-ბითა სულისა თვისსა, ვითარმედ: „ნუ ჩუენთვს, უფალო, ნუ ჩუენთვს, არამედ სახელსა შენსა ეც დიდება“ (ფსალმ. 113,9); რამეთუ იცოდა მან, ვითარმედ ბუნება ესე ჩუენი თავით თვსით ვერ შემძლებელ არს უვნებელად დაცვად. და კუალად იტყოდა: „შენ მიერ არს ქება ჩემი ეკლესიასა შინა დიდსა“ (ფსალმ. 21,26), ესე იგი არს, ვითარმედ – მას საუ-კუნესა, რამეთუ ვიდრე მუნ არა მივიდე და მესმას შენმიერი ქება, ამის სოფლისა ესე ქება არარად შემირაცხიეს, და უფროდსლა მავნებელად.

54. უკუეთუ ესე უზეშთაესი იგი ამპარტავანებისა სა-ზღვარი არს, რაათა კაცი დიდებისათვს კაცთადა იჩემებდეს სათნოებათა მათ, რომელნი არა აქუნდენ, მაშა, ესე სადმე დიდისა სიმდაბლისა სახვ არს, რაჟამს ბრალნი, რომელნი

არა გუექმნენ, არა უარვჰყოფდეთ, უკუეთუ გუნამებდეს ვინ, გინა-თუ თავით თქსითცა ვიჩემებდეთ.

55. ესრეთ ყო, რომელმან-იგი პური და ყველი ჴელად მიილო და დაჯდა კართა ზედა თქსთა გარდართხმით ძელსა ზედა და აჩუენა მან ესევეითარი სიმდაბლჴ; და კუალად სხუამან მან მუშაკმან სინმიდისამან, რომელმან სამოსელი თქსი აღიძარცუა და ვიდოდა უვნებელად ქალაქსა შინა.

56. არა ზრუნვენ ესევეითარნი დაბრკოლებისათჴს კაცთაჴსა, რამეთუ მოუღების ძალი ლოცვისა მიერ უხილავად გულსავსე-ყოფად ყოველთაჴე.

57. რომელი პირველისა მისთჴს ზრუნვიდეს, მეორისა მის ნაკლულევანებასა მოასწავებს, რამეთუ სადა ღმერთი მზა იყოს მოცემად თხოათა, მუნ ყოველისაჴე ყოფად შემძლებელ ვართ.

58. ესე გამოვირჩიოთ, ძმანო, რადთა ღმერთსა სათნო-ვეყოფოდით და არა კაცთა. რამეთუ ფრიად უხარის ღმერთსა, გვხილნეს რად, ვითარმედ შეურაცხებასა ვეძიებთ კაცთაგან, რადთამცა ამაოჲ იგი ზუაოზად შევანრეთ და წარგნყმიდეთ.

59. უცხოებაჲ ჭემმარიტი მომატყუებელ არს ესევეითართა ამათ კეთილთა, რამეთუ თქსთაგან თავსდებჲ შეურაცხებისა და კდემისაჲ ფრიად დიდთაჲ არს.

60. ნუ გიკვრს თქუმულთა ამათთჴს, საყუარელო, რამეთუ არავინ არს, რომელიმცა ერთითა ნაბიჯითა აღვიდა თავსა კიბისასა.

61. ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ქრისტეს მონაფენი ვართ, არა-თუ რაჟამს ეშმაკნი გუერჩდენ, არამედ რაჟამს სახელები ჩუენი დაინეროს ცასა მას შინა სიმდაბლისასა (შდრ. ლუკ. 10,20).

62. უნაყოფოებაჲ ბუნებით ზე აღამაღლებს რტოთა მათხისა მის თრუნჯად წოდებულისა, ხოლო ქუე რად დადრეკილ იქმნენ, მეყსეულად ნაყოფიერ იქმნებიან. რომელი მეცნიერებით იკითხვიდეს, გულისჴმა-უყოფის მას სიტყუად ესე.

63. მოუღებებს ღმრთისა მიერ ამისცა სანატრელისა კიბესა ოცდაათეული და სამეოცეული და ასეული აღსავალისაჲ. და უკუანაჲსკნელსა მას აღვლენ სრულნი, ხოლო საშუალსა – მოსწრაფენი, ხოლო პირველსა – ყოველნივე შემძლებელ არიან აღსლვად.

64. რომელმან იცნას თვისი საზომი, იგი არაოდეს სცთეს წყლყოფად საქმისა უზეშთაჲს ძალისა თვისისა, და ეგვეითარსა მას დაუდგამს ფერწი სანატრელსა ამას გზასა.

65. ვითარცა იშიშვის ქათამი არწივისაგან, ეგრეთვე მდაბალი – სიტყვსგებისაგან.

66. თვნიერად წინაჲსწარმეტყუელებისა და ნიშებისა და სასწაულებისა მრავალნი შევიდეს სასუფეველად, ხოლო თვნიერ სიმდაბლისა არავინ შევიდეს სასძლოსა მას.

67. პირველთა მათ მეორეჲ ესე მოქმედ და მცველ არს, ხოლო მეორეჲ ესე პირველთა მათ მიერ მრავალგზის უჩინო იქმნა, სუბუქთა შორის გონებითა.

68. ესეცა განაგო უფალმან დამდაბლებისა ჩუენისათჲს, რამეთუ არავინ ესრეთ ხედავს წყლულებათა თვისთა, ვითარ მეორეჲ. ამისთვისცა ჯერ არს ჩუენდა, რადთა არა თავთა ჩუენთა ვმოდღურიდეთ, გარნა მწყემსსა სულიერსა,¹ და რაჟამს განვიკურნნეთ წყლულებათა ჩუენთაგან, ღმერთსა და მას ვმადლობდეთ.

69. მდაბალსა ნებაჲ თვისი მარადის, ვითარცა მაცთური, ესრეთ სძაგს და თავი თვისი უმეცრად შეურაცხიეს, ამისთვის სიმდაბლით ითხოვნ ღმრთისაგან უმჯობესსა და სარწმუნოებით დაისწავის მის მიერ კეთილი.

70. მდაბალი მარადის მორჩილ არს და ისმენს სიტყუასა უმჯობესსა სხუათაგან, რამეთუ თავსა თვისსა არაოდეს მიენდობვის, არამედ უფალსა მიუტევის ზრუნვად თვისი, რომელმან-იგი ვირსაცა ალულო პირი ბალამის ზე (იხ. რიცხ. 22,28).

¹ იგულისხმება: მწყემსსა სულიერსა ვმორჩილებდეთ (რედ.).

და, დაღაცათუ ყოველსავე საღმრთოდ იქმოდის და იტყოდის, არავე ჰრწამს მას თჳსი გულისჴმის-ყოფად. რამეთუ, ვითარცა ამპარტავანსა სიმძიმედ უჩნს სხუათადა კითხვად, ეგრეთვე მდაბალსა – თჳსსა თავსა მინდობად.

71. მე ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ ანგელოზთაჲ ოდენ არს არა წარტყუენვად ცოდვისა მიერ. ვინაჲთგან დიდიცა იგი ქუეყანისა ანგელოზი პავლე იტყოდა, ვითარმედ: „არა-რად თავსა ჩემსა თანა უწყი, არამედ არა ამითა განვმართლ-დები, რამეთუ განმკითხველი ჩემი უფალი არს“ (1 კორ. 4,4), ამისთჳსცა თანა-გუაც მარადის განკითხვად და ბრალობად თავთა ჩუენთაჲ, რადთა ნებსით დამდაბლებითა თავთა თჳს-თაჲთა უნებლიაჲთა მათ ცოდვათაგან განვერნეთ. ხოლო უკუეთუ არა ესრეთ ვყოთ, ჟამსა სიკუდილისასა ბოროტად ვიგუემნეთ მათთჳს.

72. რომელი ითხოვდეს ღმრთისაგან სათხოელსა და აქუნდეს თავი თჳსი უღირსად სათხოელისა მის, მან უმეტე-სი მისსა მოიღოს. და მონამე არს ამას ზედა მეზუერჴ იგი, რომელმან მოტევებად ითხოვა და სიმართლჴ პოვა.

73. ავაზაკმან მან მოჴსენებაჲ ოდენ ითხოვა სასუფეველ-სა და ყოველივე სამოთხჴ დაიმკკდრა.

74. ვითარცა არა იხილვების ქუეყანასა ზედა, არცა იპო-ების ბუნებაჲ ცეცხლისაჲ მცირჴ და დიდი (რამეთუ ყოვე-ლივე ბუნებაჲ მისი ერთ არს: დაღაცათუ მცირე ნაკუერც-ხალი იყოს, ბუნებითა დიდისავე საჴმილისა სწორი არს), ეგრეთვე – ჭეშმარიტი სიმდაბლჴ სადაცა დაემკკდროს, არა შეუნდობს მუნ ნივთსა ცოდვისასა ყოფად.

75. ვიდრემდის ნებსით ვცოდვიდეთ, ჩუენ შორის იგი არა იპოვების. ამისთჳსცა, იცოდა უფალმან, ვითარმედ გა-რეშჴ სახჴ მოიყვანებს სულსა სიმდაბლედ, აღილო არდა-გი და გკჩუნა ჩუენ ღონჴ და გზაჲ სიმდაბლისაჲ, რამეთუ საქმეთა მიემსგავსების სული, და ვითარცა საქმენი მისნი იყვნენ, ეგრეთვე იგი გამოისახჴს.

76. მთავრობად ანგელოზთაგანსა მას მიზეზ ამპარტავანებისა ექმნა, რომლისადა არა ამისთვის მიცემულ იყო მთავრობად იგი.

77. სხუად არს გონებად საყდართა ზედა მჯდომარისაჲ, და სხუად არს სკორეთა ზედა დავრდომილისაჲ. და ნუუკუე ამისთვის დიდი იგი მართალი ჯდა სასკორეთა ზედა გარეშე ქალაქისა, რამეთუ მაშინ მოიგო სრული იგი სიმდაბლჳ, და თქუა მეცნიერებითა სულისადათა: „დავიკინე თავი ჩემი და დავსლბი, და შევრაცხე თავი ჩემი მიწად და ნაცრად“ (იობ. 42,6).

78. ვპოებ მანასეს უცოდვილესად ყოველთა კაცთასა, რომელმან შეაგინა ტაძარი ღმრთისაჲ და ყოველივე სამსახურებელი მისი კერპებითა, რომლისათვის დალაცა თუმცა ყოველმან სოფელმან იმარხა, ვერ კმა იყო სინანულად მისდა; არამედ შეუძლო სიმდაბლემან უკურნებელთა კურნებად.

79. „უკუეთუმცა გენება მსხუერპლი“ – ეტყვს დავით ღმერთსა – „შევსწირემცა შენდა; საკუერთხი მარხვისაჲ არა გონდა, არამედ მსხუერპლი ღმრთისა არს სული მდაბალი და გული შემუსრვილი“ (მდრ. ფსალმ. 50,18-19).

80. „შევსცოდე უფალსა“, ოდესმე ღაღატ-ყო სანატრელმან სიმდაბლემან მრუშებისათვის და კაცისკლვისა, და მეყსეულად ესმა, ვითარმედ: „უფალმან აღწოცა ცოდვაჲ შენი“ (2 მეფ. 12,13).

81. გზად სიმდაბლისა სანატრელთა მამათა ჯორციელნი შრომანი თქუნეს, ხოლო მე ვიტყვ მორჩილებასაცა და სინრფოებასა გულისასა, რომელნი-იგი ბუნებით სიმალლისა წინააღმდეგომ არიან.

82. უკუეთუ ამპარტავანებამან ანგელოზთაგანნი ვინმე ემმაკად გარდააქცინნა, სიმდაბლევცა-სადმე შემძლებელ არს ემმაკათაგან ანგელოზ-ყოფად, ამისთვისცა დაცემულნი ნუ უსასო იქმნებიან.

83. ვისწრაფოთ, ძმანო, და ვიღუანოთ ყოვლითა ძალითა ჩუენითა, რაჲთა აღვმალლდეთ თავსა ზედა ამის სანადელი-

სასა. და უკუეთუ თავსა მისსა ვერ მივსწუთეთ, ბარე მჭარ-
თა ზედა მისთა დავსხდეთ; უკუეთუ კულა მუნცა აღსლვად
ვეკლობთ, მაშა ღლიათა მისთაგან ნუმცა დავეცემით, რამე-
თუ, რომელი მიერ გარდამოვარდეს, არა უწყი, თუმცა სადა
მიემთხვა მადლსა რასმე საღმრთოსა.

84. ძირნი ამისნი და გზანი (გარნა არა ხატნი) არიან
უპოვარებად და უცხოებად, და ფარვად სიბრძნისად და თხოად
მონყალებისად, და მალვად დიდთა შვილობისად, ოტებად კად-
ნიერებისად, განშორებად მრავალმეტყუელებისაგან. რამეთუ
ვერარად ესრეთ დაამდაბლებს სულსა, ვითარ სახც და ცხო-
რებად სიგლახაკისა და შეურაცხებისად, რამეთუ მაშინ გა-
მოჩნდების ღმრთისმოყუარება ჩუენი, რაჟამს ძალ-გუედ-
ვას აღმალვებად და ვივლტოდით ჴორციელისა აღმალვები-
საგან მიუქცევველად.

85. ოდესცა ვნებასა რომელსამე ზედა შეიჭურვოდი, ესე
კეთილი სიმდაბლც შემწედ წარიყვანე. რამეთუ მაშინ „ას-
პიტსა და იქედნესა ზედა ხვდოდი და დასთრგუნო ლომი და
ვეშაპი“ (ფსალმ. 90,13). ესე იგი არს, ვითარმედ ცოდვად და
სასონარკუეთილებად უჩინო-ჰყო, და ეშმაკი და ვეშაპნი ესე
– ჴორცინი – დასთრგუნე ქრისტეს ძალითა.

86. სიმდაბლც კიბე არს ცად აღმყვანებელი სულისად
უფსკრულისაგან ცოდვათაჲსა.

87. იხილა ვინმე გულსა შინა თვსსა ამისი სიკეთც და
შეიპყრა იგი განკვრვებამან, და ჰკითხვიდა, რაჲთამცა
უთხრა სახელი მშობელისა მისისად. ხოლო მან ბრწყინვალი-
თა და მხიარულითა პირითა ჰრქუა მას: „და ვითარ მშო-
ბელისა ჩემისა სახელსა იკითხავ, და იგი არს საკვრველ და
უსახელო. არა გითხრა სახელი მისი, ვიდრემდის არა მოი-
გო ღმერთი შენ შორის მკვდრად“, რომლისად არს დიდებად
უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

**დედაჲ წყლისა და წყაროჲსაჲ უფსკრული არს, და დედაჲ
გულისწმის-ყოფისა და განკითხვისა – სიმდაბლც.**

დიაკრისისათვის,
რომელ არს გულისწმის-ყოფად და განკითხვად
გულისსიტიყუათა და ვნებათა და სათნოებათად

თავი 26

1. განკითხვად და გულისწმის-ყოფად ახალმოსრულთად მონაზონებად ესე არს, რადთა საზომი თვისი და საქმე თვისი ქვემარტად გულისწმა-ყონ; ხოლო საშუალთა შორის ესე არს, რადთა მოიგონ ცნობად გონიერებისად, რომელი-იგი ქვემარტსა მას კეთილსა ბუნებითისა და წინააღმდეგომისა-გან განჰყოფდეს უცთომელად; ხოლო სრულთა შორის არს საღმრთოესა მის ბრწყინვალეებისა მიერ მოსრული გულისწმის-ყოფისა ნათელი, რომელი დაენერგვის ღმრთისა მიერ გონებასა შინა, და ნათლითა თვისითა შემძლებელ არს სხუათა სიბნელესაცა განათლებად. გინა-თუ ესე არს განკითხვად ყოველთა ზედა, ახალთაცა და საშუალთა და სრულთა: ნებისა ღმრთისა უცთომელი პოვნად, რადთა ყოველსა ჟამსა და ადგილსა და საქმესა იცოდის, თუ რომელსა ზედა არს ნებად ღმრთისად, რომელი-ესე იპოების წმიდათა თანა გულითა და ჯორციითა და პირითა.

2. რომელმან სამთა მათ კეთილად სძლოს, მან სძლია ხუთთაცა, ხოლო რომელმან სამნი უდებ-ყვნეს, ვერცა ერთსა ხუთთაგანსა მძლე-ექმნეს იგი.⁴²

3. განკითხვად არს შეუგინებელი და წმიდად განზრახვად და ცნობად სჯინდისისად, რომელ არს გონებად გულის-

⁴² „სამნი იგი“ ესე არიან: ნაყოფანებად, ვეცხლისმოყუარებად და ცუდადმზუაობრობად. ხოლო რომელმან სძლოს ამათ სამთა: ნაყოფანებასა – მარხვითა, ცუდადმზუაობრობასა – სიმდაბლითა და ვეცხლისმოყუარებასა – სასოებითა ღმრთისადათა და ლოცვითა, მას უძლევიეს სხუათა მათ „ხუთთადა“, რომელ არიან სიძვადა, მრისხანებად, მწუხარებად, მოწყინებად და ამპარტავანებად.

წმისმყოფელი კეთილისა და ბოროტისაჲ, რომელი დაჰნერგა ღმერთმან კაცსა თანა მამხილებელად ბოროტისა.

4. ნუმცა ვინ შთავარდების უგულისჴმოებისაგან ურწმუნოებად, რაჴამს იხილოს რადმე და ესმას უზეშთაეს ბუნებისა საქმჴს. რამეთუ, სადა დაემკვდროს უზეშთაესი ბუნებათაჲ ღმერთი, უზეშთაეს ბუნებისა იქმნებიან მუნ უმეტესნი საქმენი.

5. ამათ სამთა სახეთა მიერ იშვების უფროდს ყოვლისა ჩუენ შორის ბრძოლად ყოველივე საეშმაკოჲ: ანუ უდებებისაგან, ანუ ამჴარტავანებისა, ანუ შუროსაგან მათისა. და სანყალობელ არს პირველი და უბადრუკ არს მეორჴს, ხოლო მესამჴს – სამგზის სანატრელ.

6. განმზრახად და კანონად ყოველსავე ზედა შემდგომად ღმრთისა, ჩუენი სჴნიდისი ვიჴმაროთ, რადთა ვიცოდით, თუ ვინაჲ კერძო მოვალს ნიაჴი ქარისაჲ და მისდა მიმართცა აღვმართნეთ აფრანი.

7. ყოველსავე საღმრთოსა საქმესა ზედა ჩუენსა სამნი მთხრებლნი განგჴმზადნიან ეშმაკთა: რამეთუ პირველად გუბრძვანან, რადთა დაგჴხრნიონ ჩუენ ყოფად კეთილისა, და ვითარცა ამას ზედა იძლინენ, მერმე ისწრაფიან, რადთამცა საქმჴს იგი არა საღმრთოდ იქმნა. და ვითარცა ამასცა ზედა იძლინენ მტერნი იგი, მერმე ფარულად მოგჴჴდიან ჩუენ და გუნატრიდენ, რამეთუ საღმრთოდ აღვასრულეთ საქმჴს იგი. და პირველისა მის მტერი არს მოსწრაფებაჲ და ჴსენებაჲ სიკუდილისაჲ; და მეორისაჲ – მორჩილებაჲ და შეურაცხებაჲ; ხოლო მესამისაჲ – მარადის ბრალობაჲ თავისა თჴსისაჲ.

8. ესე არს შრომაჲ წინაშე ჩუენსა, რადთა შემოვიდეს სინმიდესა ჩუენსა ცეცხლი ღმრთისაჲ. რამეთუ მიერიტვან არღარა არს ჩუენ შორის ბრძოლად ჩუეულებათა პირველთაჲ, რამეთუ ღმერთი ჩუენი ცეცხლ არს, შემწუველ ყოვლისა მჴურვალეებისა ბოროტისა და სიბნელისა და აღძრვისა ჩუეულებათა შინაგანთა და გარეგანთა, ხილულთა და უხილავთა.

9. ეშმაკნი მარადის წინააღმდეგომსა ამის პირველთქუმულისა საქმისასა ისწრაფიან ქმნად. რამეთუ, რაჟამს სულსა ეუფლნენ და ნათელი იგი გონებისა დააბნელონ, მიერიტგან არლარა არნ ჩუენ შორის უბადრუკთა ამათ სიფრთხილჳ გონებისაჲ, არცა განკითხვაჲ, არცა გულისჳმის-ყოფაჲ, არცა სირცხვლი, არამედ უღმობელობაჲ და უგუნურებაჲ და განუკითხველობაჲ და სიბრმჳ. და იცნიან თქუმულნი ესე კეთილად, რომელნი სიძვისაგან მოქცეულ არიან, ანუ კადნიერებისაგან განეფრთხოს, ანუ უნესობისაგან გულისჳმის-ყოფად მოსრულ იყვნენ, ვითარ-იგი შემდგომად განფრთხოვისა მათისა მის გონებისა სიბრმისა მისგან და შემდგომად წარსლვისა ბნელისა მის, თავთა თვსთაგანცა ჰრცხუენინ გონებითა სიტყუათა მათ და საქმეთა ზედა, რომელთა იტყოდეს და იქმოდეს, იყვნეს რაჲ სიბნელესა მას შინა.

10. უკუეთუ პირველად არა შელამდეს და შებნელდეს⁴³ დღესა მას შინა სულისასა, ვერ შემოვლენ მპარავნი იგი, რად-თამცა იპარეს, დაკლეს და წარწყმიდეს (შდრ. იოან. 10,10).

11. პარვაჲ არს წარწყმედაჲ ბუნებითისა მის კეთილისაჲ.

12. პარვაჲ არს, რაჟამს ჰყოფდეს კაცი ბოროტსა და მედგარსა, ვითარცა კეთილსა.

13. პარვაჲ არს უცნაური წარტყუენვაჲ სულისაჲ.

14. დაკლვაჲ სულისაჲ არს სიტყუერისა მის გონებისა სიკუდილი შთავრდომითა ბოროტთა საქმეთა.

15. წარწყმედაჲ არს შემდგომად ურჩულოებისა სრულიადი სასოებისა წარკუეთაჲ.

16. ნუვინ მიზეზობნ უძლურებასა აღსრულებაჲ მცნებათა სახარებისათა, რამეთუ მრავალნი არიან, ძმანო, რომელთა უზეშთაეს მცნებისაცა ქმნეს, და ესე დაგარნ-

⁴³ „ღამე და ბნელი სულისაჲ“ არს უდებებაჲ და მონყინებაჲ და გულისთქუმაჲ.

მუნოს, რომელმან-იგი უფროდს თავისა თვისისა შეიყუარა მოყუასი და სული თვისი დადვა და მცნებად უფლისაჲ ამას ზედა არავე მოელო, არამედ უზეშთაეს მცნებისა ქმნა.*

17. ნუგეშინისცემულ იქმნედ და მწნე იყვნედ ვნებულნი იგი, რომელთა ოდენ სიმდაბლჳ აქუს, რამეთუ, დაღაცათუ ყოველთა მთხრებლთა შთაცკვენ და ყოველთა მახეთა შეეზნენ და ყოვლითა სენითა მოუძღურდენ, არამედ შემდგომად კურნებისა მათისა ყოველთა მნათობ და მკურნალ და სანთელ და წინამძღუარ ექმნენ და სახეთა მათ სენისათა ასწავებდენ და თვისისა გამოცდილებისაგან იწსნიდენ მათ, რომელთა ეგულებოდის დაცემად.

18. უკუეთუ პირველთა ჩუეულებათაგან ვიეთნიმე იმძლავრებოდინ და ძალ-ედვას სიტყვთ ოდენ სწავლაჲ, ასწავლიდედ, და ნუუკუე თვსთა სიტყუათაგან სადამე შეჰრცხუნეს, და საქმედცა იწყონ კეთილისა. ხოლო წინამძღუარ ნუ იქმნებიან, არამედ სიტყვთ ასწავლიდედ, თუ ძალ-ედვას. და ნუუკუე იქმნას მათ ზედაცა, ვითარცა ვიეთმე ზედა ვიხილე, რომელნი შთავრდომილ იყვნეს მწკრესა და დაფლულ, ვიდრე ყელადმდე. და სახესა მუნ შთავრდომისა მათისასა ყოველთა თანაწარმავალთა ასწავლიდეს და ევედრებოდის, რადთა არა წარვლონ გზად იგი და მასვე მთხრებლსა შთაცკვენ. და სხუათა მათ ცხორებისათვს, რომელ მათ იზრუნეს, იგინიცა ყოვლადძლიერმან თივისა მისგან იწსნნა. უკუეთუ კულა ვნებულნი იგი ნებსით მისცემენ თავთა თვსთა გულისთქუმად, დუმილით აჩუენონ ესევითართა მათ სწავლაჲ, რამეთუ წერილ არს: „რომელთა იწყო იესუ ყოფად და სწავლად“ (საქმე 1,1).

19. ფიცხელსა ჭემმარიტად და ძნელსა ზღუასა წიად-ვალთ, ჳ, მონაზონნო, და სავსესა მრავლითა ნიაქვა-

* პავლეს მოციქულსა იტყვს, რომელი-იგი შეაჩუენებდა თავსა თვისსა ძმათათვს.

რითა და გრიგალითა და მოქცევითა, და კლდეებითა და მწვეცებითა და ავაზაკებითა, და სიფონებითა და ღელვითა ბოროტითა.

20. გრიგალი სულისაჲ – გულისწმა-ყავთ მძაფრი იგი და მეყსეული გულისწყრომაჲ; და მოქცევად – სასონარკუეთილებაჲ, რომელი გარე მოეხუევის გონებასა და ისწრაფის უფსკრულად წარწყმედისა შთაყვანებად მისა; და კლდედ – უგულისწმოებაჲ, რომელი ბოროტსა, ვითარცა კეთილსა, შეიტკბობს; ხოლო მწვეცად – მიმინი ესე და ველურნი წორცნი გულისწმა-ვეყნეთ; და ავაზაკად – ცუდადმზუაობრობისა იგი ეშმაკნი ბოროტნი, რომელნი-იგი ტკრთსა და ნაშრომსა სათნოებათა ჩუენთასა წარიტაცებენ; ხოლო ღელვად ვიტყვთ განძვნებულსა და აღვსებულსა მუცელსა, რომელი თვისითა მით სიფიცხლითა პირად მტერისა მიმცემს; ხოლო სიფონი* – ზეცით გარდამოვრდომილი იგი ამპარტავანებაჲ არს, რომელი-იგი აღგუამაღლებს ცადმდე და შთაგკყვანებს უფსკრულად.

21. ყოველთა, რომელნი ისწავლიან წერილთა, საცნაურ არს მათდა, თუ რომელნი არიან სწავლანი ახლადმემოსრულთანი სწავლად, ანუ რომელნი არიან საშუალთა და რომელნი არიან მოძღუართანი.⁴⁴

22. ვეკრძალნეთ კეთილად, ნუუკუე მრავალი ჟამი

* ზეცით ღრუბლისა სუეტი ჩამოდგების ზღუასა ზედა და წყალსა აღიღებს, და მას ეწოდების სიფონი.

⁴⁴ ახლად შემოსრულთა სწავლანი ესე არიან: მორჩილებაჲ, მარხვაჲ, მოთმინებაჲ, ახოვნებაჲ სულისაჲ, არა სიყუარული ნათესავთა და საწმართაჲ, სიმდაბლც და ლოცვაჲ; ხოლო საშუალთა – სულგრძელებაჲ, სიტკბოებაჲ, სახიერებაჲ, მოწყალებაჲ, ძკრ-უწსენებლობაჲ, უპოვარებაჲ, მარხვაჲ, კრძალულებაჲ და ლოცვაჲ; ხოლო სრულთა – სიყუარული, სიხარული, მშკდობაჲ, განკითხვაჲ და გულისწმის-ყოფაჲ უცთომელი ყოველსა ჟამსა და ადგილსა და საქმესა.

დავყოთ სწავლასა შინა, და ჯერეთ ანბანსა ვისწავლიდეთ, რომელი-ესე სირცხვლი არს, რაჟამს კაცი სწავლასა შინა დაბერებული ანბანსავე ისწავლიდეს.

23. ანბანი მონაზონებისად ესე არს: მორჩილებაჲ, მარხვაჲ, მღვდარებაჲ, შთაცუჟმად ძაძისად, ნაცარსა ზედა ჯდომად, ტირილი, აღსარებაჲ, დუმილი, სიმდაბლჳ, სიმჴნჳ, ყინელი სიცივისად, შრომად, უბადრუკებაჲ, შეურაცხებაჲ, შემუსრვილებაჲ, ძკრუჴსენებლობად, სიყუარული ძმათად, სახიერებაჲ, სარწმუნოებაჲ მარტივი და მართალი, უზრუნველობად სოფლისად, სიძულილი არამოძულეებული მშობელთად, სივლტოლად საქმეთაგან სოფლისათა, უმანკოებაჲ და ნებსით სიგლახაკჳ.

24. სწავლად საშუალთად, რომელნი წარმართებულ იყვნენ მონაზონებასა შინა, ესე არს: უზუაობრობად, ურისხველობად, სასოებისა სიმდიდრჳ, დაყუდეებაჲ, განკითხვაჲ, მტკიცჳ ჴსენებაჲ საშჴელისად, მოწყალებაჲ, უცხოთმოყუარებაჲ, სწავლად ზომითი, ლოცვაჲ უვნებელი, სიძულილი საჴმართად.

25. ესე არს საზღვარი და რჩული სულთა განსრულებულთად ღმრთისმოშიშებითა: წარუტყუენველი გული, განსრულებული სიყუარული, წყაროდ სიმდაბლისად, განსლვად გონებისად ღმრთისა მიმართ, შემოსლვად ქრისტესი სულსა შინა, განათლებაჲ ლოცვისად წარუტყუენველად, სიმრავლჳ ბრწყინვალეებისა ღმრთისად, სურვილი სიკუდილისად, სიძულილი ამის ცხორებისად, სივლტოლად ჴორცთაგან, მეოტი სოფლისა, მაიძულეებელი ღმრთისად, ანგელოზთა თანა შეერთებული, უფსკრული გულისჴმის-ყოფისად, ტაძარი საიდუმლოთად, მხილველი გამოუთქუმელთად, მაცხოვარი კაცთად, ღმერთი ეშმაკთად, უფალი ვნებათად, მეუფჳ ჴორცთად, მთავარი გონებისად, უცხოჲ ცოდვისად, სახლი უვნებელობისად, მიმსგავსებული მეუფისად შენვენითა მეუფისად-თავე.

26. არა მცირედი სიფრთხილზე უჭმს გონებასა, რაჟამს ჯორცნი უძღურ იყვენენ. რამეთუ მაშინ, გკხილნიან რაჲ ეშმაკთა დავრდომილნი სარეცელთა ზედა და ვერ შემძლებელნი უძღურებისა მისგან ბრძოლად მათდა, ფიცხელთა ბრძოლათა ისწრაფდიან მონევნად ჩუენ ზედა.

27. რომელნი სოფელსა შინა არიან, მათ, დასწეულდიან რაჲ, გულისწყრომისა და მრავალგზის გმობისაცა ეშმაკი ჰბრძავს; ხოლო რომელნი გარეგან სოფლისა არიან, მათ, უკუეთუ საჭმარნი ეპოებოდინ, ნაყროვანებისა და სიძვისა ეშმაკი ჰბრძავს; უკუეთუ კულა ფიცხელთა და უნუგეშინისცემოთა ადგილთა იყვენენ, მონყინებისა და უმადლოებისა მძლავრი სტანჯავს.

28. დავიდეგ გონებასა ჩემსა განცდად ეშმაკსა სიძვისასა და ვიხილე, რამეთუ საღმობათა და ტკივილთა შესძინებდა სწეულთა ზედა, და ტკივილთა მათ და საღმობათა შინა აღძრვასა ჯორცთასა და დინებასა ჰყოფდა. და იყო განსაკვრვებელ საქმე იგი, რამეთუ საღმობათა და ტკივილთა შინა ფიცხელთა ჯორცნი ბორგდეს და მძლავრობდეს. და ვიხილენ სხუანი სწეულნი მდებარენი, და სარეცელთა ზედა მათთა ღმრთისა ძალითა და ღმობიერებითა ნუგეშინისცემულ იქმნეს და არღარა ეღმოდა, არამედ ესრეთ იყვნეს, ვითარმცა არღარა ენება სენისა მისგან განთავისუფლებაჲ. და კუალად ვიხილენ სწეულნი, რომელნი სენისა მის მიერ, ვითარცა კანონისა რაჲმე საღმრთოჲსა, სენისაგან სულიერისა და ვნებისაგან ბოროტისა განთავისუფლდეს, და ვადიდე, რომელმან-იგი ჯორცთა მიერ ჯორცნივე წმიდა-ყვნა სულსა თანა.

29. გონებასა გონიერსა გონიერიცა ცნობაჲ ჰმოსიეს, რომელი-იგი ჩუენ შორის და არა ჩუენ შორის მყოფი გამოვიძიოთ დაუცხრომელად. რამეთუ, რაჟამს იგი გამოჩნდეს, გარეგანთა ამათ აღძრვათა დააცადონ საქმე თუსი, და ესე არს, რომლისათჳს იტყოდა ბრძენი ვინმე, ვითარმედ: „ცნობაჲ საღმრთოჲ ჰპოო შენ“ (მდრ. იგავ. 2,5).

30. ცხორებად მონაზონისად გულისწმის-ყოფით იყავნ ყოველსავე საქმესა ზედა და სიტყუასა, და მოგონებასა და აღძრვასა. უკუეთუ კულა არა ესრეთ იყოს, არა სამონაზნოდ არს ცხორებად იგი, არცა მიმსგავსებული ანგელოზთად.

31. სხუად არს განგებულება ღმრთისად, და სხუად არს წეღისაპყრობად, და სხუად არს დაცვაად მისი, და სხუად არს წყალობად მისი, და სხუად არს ნუგეშინისცემად მისმიერი. და პირველი იგი ყოველთა დაბადებულთა ზედა არს, და მეორე – ყოველთა მორწმუნეთათჳს ოდენ, და მესამე – სარწმუნოდ და ჭეშმარიტად მორწმუნეთა, და მეოთხე – მათ ზედა, რომელნი მოსწრაფებით ჰმონებენ მას; ხოლო მეხუთე – მოყუარეთა ზედა მისთა გამოჩნდების.

32. მრავალგზის ერთისა განმკურნებელი წამალი მეორესა მომაკუდინებელ ექმნის; და მრავალგზის თვთ იგივე წამალი მარგებელ ექმნის კაცისა, რაჟამს ჟამსა თჳსსა მიიღის, და კუალად არა თჳსსა ჟამსა მიღებული – მომაკუდინებელ ექმნის მასვე.

33. ვიხილე მკურნალი უგუნური, რომელმან უძღლური შემუსრვილი შეაწუხა გინებითა და შეურაცხებითა უჯეროვთა, და სხუად არარად, გარნა სასონარკუეთილება მოატყუა მას. და ვიხილე სხუად მკურნალი წეღოანი, რომელმან გული, ამპარტავანებითა განსივებული, შეურაცხებითა და გინებითა განაპო და ყოველივე სენი და სიმყრალე მისი წარმოაცარიელა.

34. ვიხილე იგივე სნეული, ოდესმე შესუა წამალი მორჩილებისად განსაწმედელად არაწმიდებასა ვნებათასა და მიმოვიდოდა და არა დაიძინებდა, და ოდესმე თუალნი სულისა მისისანი მოუძღურდეს, და დაყუდებულ იყო და არა ზრახვიდა. რომელსა ჰქონან ყურნი სმენად, ისმინენ!

35. რომელთამე – არა უწყი, თუ ვითარ (რამეთუ არა მისწავიეს მე ზუაობით გამოძიებად ნიჭთა ღმრთისათად, გარნა-თუ ვითარ, არა უწყი) – თვთ ბუნებით, რადთა ესრეთ ვთქუა, აქუს მიდრეკილება მმარხველობისა მიმართ,

ანუ დაყუდებისმოყუარებისა, ანუ ჯორცთა სინმიდისა, ანუ უკადნიერებლობისა, ანუ სიმშკდისა, ანუ ლმოზიერებისა.

36. და არიან სხუანი, რომელთა ბუნებად მათი წინააღმდეგომად აქუს ამათ საქმეთა მიმართ, და ძალისაებრ მათისა აიძულებენ თავთა თვსთა. და ესევეთარნი-იგი, დაღაცათუ ჟამსა შინა იძლევიან, გარნა ვითარცა მაიძულებელნი ბუნებისანი, უფროდს პირველთასა სათნო-მიჩან მე.

37. ნუ ჰზუაობ უშრომელსა სიმდიდრესა ზედა, ზ, კაცო, რამეთუ ფრიადი იგი ვნებულებად და უძლურებად და ძლეულებად შენი პირველვე იცოდა ნიჭთა მომცემელმან მან, და მადლთა მათ მისთა უსასყიდლოთა მიერ მცირედ რაჲმე გაცხოვნა თვნიერ შენისა შრომისა.

38. და სიჩრდთაგანცა ზრდილობანი და სწავლულებანი და ადგილნი შეგუენევიან, გინა წინააღგუდგებთან სათნოებისა მიმართ და მონაზონთა მოქალაქობისა.

39. ნათელ მონაზონთა – ანგელოზნი, და ნათელ ყოველთა კაცთა – ჭეშმარიტნი მონაზონნი არიან. და ამისთვის თანა-გუაც, რაჲთა ვილუანოთ ყოველსავე ზედა სახე კეთილისა ყოფად და რაჲთა არარას ზედა სიტყუასა ჩუენსა, გინა საქმესა ვსცემდეთ მიზეზსა დაბრკოლებისასა. რამეთუ, უკუეთუ ნათელი ბნელ იქმნას, მაშა ბნელი, რომელ არიან სოფლიონნი, რაჲზომ დაბნელდენ.

40. უკუეთუ მისმინოთ და მერჩდეთ მე, უმჯობეს არს, რაჲთა არა განვიბნინეთ თავნი ჩუენნი უბადრუკნი პირად-პირადსა ბრძოლასა ათასთა მიმართ ათასეულთაჲსა და ბევრთა ბევრეულთაჲსა მტერთა ჩუენთა. რამეთუ ვერ კმა ვართ ჩუენ, რაჲთამცა გამოვიძიენით და ვპოენით მრავალნი იგი ღონენი და მანქანებანი მათნი.

41. წმიდისა სამებისა მიერ შევიჭურნეთ სამთა მათ ვნებათა ზედა* სამ-სახედ, სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა

* „სამნი ვნებანი“ არიან: გემოთმოყუარებად, ვეცხლისმოყუარებად და ამპარტავანებად.

და სულისა წმიდისადათა. თუ არა, მრავალნი შრომანი შევა-
მთხვნეთ თავთა ჩუენთა.

42. ჭეშმარიტად, უკუეთუ ჩუენთანაცა მოვიდეს, „რომე-
ლი-იგი გარდააქცევს ზღუასა ჳმელად“ (ფსალმ. 65,6), განვ-
ლოს ჩუენმანცა ისრაჳლმან – რომელ არს გონებაჲ მხედვე-
ლი ღმრთისაჲ – დაუნთქმელად ზღუასა მას ვნებათასა, და
იხილნეს მეგჳპტელნი იგი – ვნებანი – დანთქმულნი ნყალ-
სა მას შინა ცრემლთასა. ხოლო უკუეთუ იგი არა მოვიდეს
ჩუენდა, ოხრვანი ღელვათა მისთანი, რომელ არიან ჳორცნი
ესე, ვინ-მე თავს-ისხნეს?

43. უკუეთუ აღდგეს ღმერთი ჩუენ შორის საქმით, განი-
ბნინენ მტერნი მისნი, და უკუეთუ მივილტოდით მისა ხედ-
ვითა, ივლტოდინ მოძულენი მისნი პირისაგან მისისა და
ჩუენისა და უჩინო იქმნენ (შდრ. ფსალმ. 67,2).

44. ვისწრაფოთ, ძმანო, რადთა ვისწავლნეთ საღმრთონი
საქმენი შრომით და არა სიტყჳთა ლიტონითა. რამეთუ არა-
თუ სიტყჳათაჲ ჯერ არს ჩუენებაჲ ჟამსა განსლვისასა ამიერ
სოფლით, არამედ საქმეთაჲ.

45. რომელთა-იგი ესმის საფასისათჳს დაფარულისა,
ისწრაფდიან და ფრიადი შრომაჲ თავს-იდვიან პოვნასა მის-
სა; ხოლო პოვიან რად იგი, ყოველივე შრომაჲ თავს-იდვიან
კუალად ცვასა მისსა, რამეთუ, რომელნი უშრომელად გან-
მდიდრდიან, უურველად განაბნიან.

46. ძნელ არს სრულიად უჩინო-ყოფად ბრძოლისაჲ პირ-
ველთა ჩუეულებათასა, ხოლო რომელნი-იგი ჳმატებენ და
დაჳრთვენ მათ ზედა, მათ ანუ სასოებაჲ თჳსისა ცხორებისაჲ
წარუკუეთია, ანუ ვერარად სარგებელ-ეყო მათ მონაზონები-
საგან. გარნა ვიცი, ვითარმედ ღმერთსა ყოველივე ძალ-უც
და შეუძლებელ მის მიერ არარად არს.

47. ძნად გულისწმისსაყოფელი კითხვაჲ მკითხეს ვიეთ-
მე და უაღრესი ცნობისა ჩემისაჲ, რომელი არასადა მეპოვნა
ჩემ მიერ წარკითხულთა წიგნთა შინა. რამეთუ იტყოდეს,

ვითარმედ: „რომელი არიან რვათა მათ გულისსიტყუათა* თუსაგან ნაშობნი ანუ რომელი რომლისაჲ არს ხუთთაგანისაჲ, სამთა მათ მთავართაგანი** მშობელი?“ ხოლო მე უმეცრებაჲ საქებელი წინაუყავ კითხვისა მის მათისა მიმართ და ვევედრე, რათა მასწაონ მათ. და მასწავეს ნეტართა მათ ესრეთ, ვითარმედ: „დედაჲ სიძვისაჲ არს ნაყროვანებაჲ, და მონყინებისა – ზუაობაჲ, ხოლო მწუხარებაჲ სამთაჲვე ნაშობი არს: ნაყროვანებისაჲცა და ვეცხლისმოყუარებისაჲ და ცუდადმზუაობრობისაჲ; და რისხვაჲ ეგრევე სამთაჲვე ნაშობი არს, ხოლო ამპარტავანებისა დედაჲ ცუდადმზუაობრობაჲ არს“. ხოლო მე ვევედრე ნეტართა მათ და ვარქუ, ვითარმედ: „ესეცა მითხართ, თუ რომელი არიან რვათა მათ გულისსიტყუათა ნაშობნი? ანუ რომელი რომლისაჲ არს შვილი?“ ხოლო მასწავლიდეს ტკბილად უვნებელნი იგი და იტყოდეს, ვითარმედ: „არა არს წესი, ანუ მეცნიერებაჲ უკეთურთა მათ თანა, არამედ ყოველივე უნესობაჲ და დაუნყნარებლობაჲ“. და დამარწმუნებდეს ამას ბრძენნი იგი ვრცელთა სიტყუათა მიერ, რომელთაგან მცირედნი აქაცა დავნერნე, რათა მცირედისა ამისგან სხუათათკსცა გულისწმა-გყოთ. რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: „სიცილი უჟამოდ და ცუდი ოდესმე სიძვისაგან იშვების და ოდესმე – ცუდადმზუაობრობისაგან, რაჟამს ვისმე შინაგან თავი თუსი დაუტკებოდის ბოროტად; და ოდესმე – განსუენებისა და შუებისაგან. და ძილი ფრიადი ოდესმე შუებისაგან იშუების, და ოდესმე – მარხვისაგან, რაჟამს მმარხველი იგი ზუაობდეს; და ოდესმე მონყინებისაგან, და ოდესმე ბუნებისაგან;

* „რვანი გულისსიტყუანი“ ესენი არიან: ნაყროვანებაჲ, სიძვაჲ, ვეცხლისმოყუარებაჲ, რისხვაჲ, მწუხარებაჲ, მონყინებაჲ, ცუდადდიდებაჲ და ამპარტავანებაჲ.

** „სამნი მთავარნი“ არიან: ნაყროვანებაჲ, ვეცხლისმოყუარებაჲ და ზუაობაჲ. „ხუთნი“ არიან: სიძვაჲ, რისხვაჲ, მწუხარებაჲ, მონყინებაჲ და ამპარტავანებაჲ.

და მრავალმეტყუელებად ოდესმე მოწყინებისაგან იქმნების და ოდესმე – ცუდადმზუაობრობისაგან; და მოწყინებად ოდესმე შუებისაგან და ოდესმე – უშიშობისაგან ღმრთისა. და გამოზად ნაშობი არს ამპარტავანებისა, და მრავალგზის იქმნების განკითხვისაგან მოყუსისა მასვე ზედა, ანუ-თუ შურისაგანცა ეშმაკთაჲსა მოიწიის. გულფიცხელობად არს სიმაძღრისაგან და უღმობელობისა და ცუდისა სიყუარულისა; და ცუდი სიყუარული იქმნების სიძვისაგან ანუ ვეცხლის-მოყუარებისა, ანუ ნაყროვანებისა, ანუ ცუდისა დიდებისაგან, და სხუათაგან მრავალთა. და გულარძნილებად იქმნების სიმაღლისაგან და მრისხანებისა; და ორგულებად – თვორჩულობისაგან და თავმოთნებისა. ხოლო ამათნი წინააღმდგომნი წინააღმდგომთა მათ მშობელთა მათთაგან იშვებიან“. და რაჲთა არა მრავალსა ვიტყოდი, რამეთუ დამაკლდების მე ჟამი, უკუეთუ მენებოს თითოეულისა გამოძიებად, არამედ მოკლედ ვთქუა, ვითარმედ ჭემმარიტი ძლევად ყოველთა მათ პირველთქუმულთა ვნებათად სიმდაბლჳ არს, რომელი-იგი უკუეთუ ვინ მოიგოს, ყოვლისადავე უძლევებს.

48. მშობელნი ყოველთა ბოროტთანი არიან გულის-თქუმად და უკეთურებად, რომელნი-ესე რომელსაცა აქუნდენ, არა იხილოს მან უფალი. ხოლო ვერარას გუერგოს ჩუენ პირველისა მის განყენებად, უკუეთუ მეორჳ ესე გუაქუნდეს.

49. სახჳ შიშისა უფლისაჲ გუაქუნდინ ჳელმწიფენი და მჳეცნი, ხოლო სურვილისა მისისა სახედ ტრფიალებად ჳორცთად გუაქუნდინ. რამეთუ არარად არს დამაყენებელ წინააღმდგომთა საქმეთაგანცა მოღებად სახისა სათნოებათაჲსა.

50. აღივსო გულარძნილებითა ბოროტითა ესე ნათესავი და ზუაობითა და ორგულებითა. რამეთუ შრომათა ჳორციელთა მსგავსად პირველთა მათ მამათასა აჩუენებს, ხოლო მადლსა მათსა არა ღირს იქმნების, დაღაცათუ არასადა

ესრე ევმარებოდეს ბუნებასა ამას მადლნი, ვითარ ან. და სამართლად იქმნა ესე ჩუენ ზედა, რამეთუ არა შრომითა, არამედ სინრფოებითა და სიმდაბლითა გამოჩნდების ღმერთი სულსა შინა.

51. დაღაცათუ ძალი უფლისაჲ უძღურებასა შინა გამოჩნდების, გარნა არავე უგულებელს-ყოს უფალმან მუშაკი მდაბალი.

52. რაჟამს ვიხილოთ მოღუანეთაგანი ვინმე ჯორციელად მოუძღურებული, ნუმცა ვეძიებთ უკეთურებით ცნობად საშჯელსა მისისა უძღურებისასა, არამედ უფროსად სიყუარულითა კეთილითა, ვითარცა თჳსი ასოჲ, შევიტკობთ და ვითარცა მწედარი, ბრძოლისაგან დამაშურალი, შევიწყნაროთ და განუსუენოთ.

53. მოინიის უძღურებაჲ მრავალგზის განსანმენდელად ცოდვათა, და ოდესმე მოინიის დამამდაბლებელად გონებისა.

54. სახიერმან მან და ტკბილმან უფალმან და მეუფემან ჩუენმან, რაჟამს იხილის ვინმე მცონარი მოღუანებისა მიმართ, მაშინ უძღურებისა მიერ მრავალგზის ჯორციი დაამდაბლნის, და ოდესვე კუალად – სული განწმიდის ვნებათა და გულისსიტყუათაგან ბოროტთა.

55. ყოველივე, რაჲცა მოინიოს ჩუენ ზედა ხილული, გინათუ უხილავი, შესაძლებელ არს მისი კეთილადცა და საშუალად და ბოროტადცა შეწყნარებაჲ.

56. ვიხილენ სამნი ძმანი, რომელთა დაშჭირდა რაჲმე, და ერთი იგი განრისხნა, და მეორე დაადგრა შეუნუხებელად, ხოლო მესამე აღივსო სიხარულითა.

57. ვიხილე მე ქუეყანაჲ ერთი, დათესული მრავალთა მუშაკთა მიერ, და თითოეულსა სხუაჲ და სხუაჲ გულისსიტყუაჲ აქუნდა: ერთსა მას ესე აქუნდა, რაჲთა გარდაიწადოს თანანადები თჳსი; ხოლო მეორესა – რაჲთა მოიგოს სიმდიდრე; და სხუასა – რაჲთა მოიმადლოს უფალი თჳსი ძღუნი-

თა; და სხუასა, რადთა უჩუენოს საქმე თვისი თანანარმავალ-
თა გზისათა და მოიგოს ქება მათგან; და სხუასა, რადთა
მტერი თვისი შურად აღადგინოს და შეანუხოს; და სხუასა –
რადთა არა იყუედრებოდის კაცთა მიერ უქმობისათს.

58. ესე არიან სახენი თესლთა მათ მუშაკთანი: მარხვად,
მღკდარებად, მონყალებად, მსახურებად და მსგავსნი ამათნი.
ხოლო გულისსიტყუანი იგი მოსწრაფედ ძმათა გამოიძინენ,
თუ რომელთათს ვიტყვ.

59. ვითარცა-იგი აღმოვივსებდით რად ნყალსა, მრავალ-
გზის თანა აღმოვიქვთ მყუარი, ეგრეთვე, ვიქმოდით რად
სათნობათა, მრავალგზის მათ თანა შეთხზულ არიედ ვნე-
ბანიცა ფარულად. და ესე ესრეთ გულისწმა-ყავთ, რამეთუ
უცხოთშენყნარებასა თანაშეთხზნების ნაყროვანებად, და
სიყუარულსა – სიძვად, და გულისწმის-ყოფასა – მანქანებად,
სიბრძნესა – გულარძნილებად, სიმშკდესა – დაწსნილობად
და მცონარებად და თვთრჩულობად, და დუმილსა – ზუაო-
ბად, და სიხარულსა – სიმალლწ, სასობასა – უდებებად, და-
ყუდებასა – მონყინებად და მცონარებად, ქალწულებასა –
სიფიცხწ, სიმდაბლესა – კადნიერებად, და ამათ ყოველთა
თანა, ვითარცა საკრველი, შეერთვის ცუდადმზუაობრობად.

60. ნუმცა შევწუხნებით, საყუარელნო, რაჟამს ვითხოვ-
დეთ რასმე უფლისაგან, და ჟამ რავდენმე არა ისმინოს ჩუე-
ნი. რამეთუ ენება უფალსა, თუმცა ყოველნივე კაცნი ერთსა
შინა ნამსა უვნებლობასამცა მიემთხვნეს; არამედ ყოველნი,
რომელნი ითხოვდენ რას ღმრთისაგან და ვერ მიემთხუე-
ოდინ თხოასა მას, ერთისა რაჟამე ამათ მიზეზთაგანისა
შემთხუევის ესე: ანუ, რომელ პირველ ჟამისა ითხოვდეს,
ანუ უღირსად და ზუაობით ითხოენ, ანუ, უკუეთუმცა მიეცა
მათ თხოვად იგი, აღმალლება ეგულებოდა, ანუ უდებებად
მოსლვად.

61. ესე ყოველთა იციან, ვითარმედ განგუემორებიან ეშ-
მაკნი და ვნებანი ჟამ რავდენმე, გინა-თუ სრულიადცა, გარ-

ნა თუ რავდენითა სახითა განგუეშორებთან, ესე ვჰგონებ თუ მცირედთა იცინან.

62. განეშორნეს ვიეთგანმე ვნებანი, არა ოდენ მორწმუნეთაგან, არამედ ურწმუნოთაცა თვნიერ ერთისა, რამეთუ დაუტევეს ერთი იგი მათ თანა, ვითარცა ბოროტთა ყოველთა წინამძღუარი, და აღმასრულებელი ადგილსა მას ყოველთასა, რომლისა უკეთურებად ეგოდენ არს, რომელ შემძლებელ იქმნა ანგელოზთა ეშმაკ ყოფად.

63. კუალად განილევის ნივთი იგი ვნებათად ცეცხლისა მის საღმრთოესა მიერ შემწუარი და სულისაგან უჩინოქმნილი.

64. კუალად განეშორნიან ეშმაკნი კაცისაგან ნებსით, რადთამცა უზრუნველობად მოატყუეს მას, და მერმემცა მეყსა შინა მოუწყდეს და წარიტაცეს და დაანთქეს ვნებათა შინა, რადთამცა იქმნა მიერთგან თვთმბრძოლ თავისა თვისსა.

65. ვიცი სხუადცა განშორებად ეშმაკთად, ვინადგან დაეჩკოს სული ვნებათა. და სახე თქუმულისა ამის არიან ჩჩკლნი, რამეთუ ვინადგან დაეჩკნენ ძუძუესა წოვნასა, მერმე დაღაცათუ ძუძუსა მოსწყდნენ, თითთა თვსთა წოვდიან.

66. ვიცი მეხუთჴცა განშორებად ეშმაკთა და ვნებათად სულისაგან, რომელი იქმნების სინრფოებისაგან და უმანკოებისა ფრიადისა და კეთილისა. რამეთუ ჭემმარიტ არს და სამართალ შეწევნად ესევითართად მათ ღმრთისა მიერ, „რომელმან განარინნის წრფელნი გულითა“ (ფსალმ. 7,11), და იჴსნის მათ უცნაურად ბოროტთაგან, ვითარცა-იგი ჩჩკლნი ყრმანი – მრავალგზის განძარცუნიან რად, უმეცარ იყვნინან საქმისა მის.

67. ვნებად და ბოროტი ბუნებით ბუნებასა შინა ჩუენსა არა დაბადებულ არს ღმრთისად, რამეთუ არა-თუ ვნებათა დამბადებელ არს ღმერთი, არამედ უფროესად სათნოებანი დაიბადნეს მის მიერ ჩუენ შორის. რამეთუ მონყალე-

ბად ბუნებითი არს ჩუენ თანა, ამისთვისცა წარმართნიცა სწყალობენ კაცსა. და სიყუარული ბუნებითი არს, რამეთუ პირუტყუნიცა მწუხარე იქმნებიან ურთიერთას განშორებისათკს. და სარწმუნოებად ბუნებითი არს, რამეთუ ყოველნივე თავთა ჩუენთაგან მოვიღებთ სარწმუნოებასა, და სულთა ჩუენთა შორის ვშობთ მას. და სასოებად ბუნებითი არს, ამისთვისცა სასოებით ნათელ-ვიღებთ. და კუალად ჴორციელთა ზედა სასოებითა განმდიდრებისათა ვსთესავთ და ვავასხებთ, და ზღუათა შინა ვალთ. და ვინათგან ესრეთ არს და სიყუარული ბუნებითად არს ჩუენ თანა – რომელი იგი საკრველი არს, და აღსასრული რჩულისა და წინადაწარმეტყუელთაჲსა – მაშა არა-სადმე შორს არიან ბუნებისა ჩუენისაგან სათნოებანი. და ჰრცხუენოდენ ყოველთა, რომელნი იტყვან, თუ შეუძლებელ არს სათნოებათა ქმნად.

68. უაღრეს ბუნებისა არს სინმიდღჳ სრული ქალწულები-სად და ურისხველობად და სიმდაბლჳ და ლოცვად და მღკდარებად და მარხვად და ტირილი სამარადისოდ და გლოვად. ამათნი უკუე რომელთამე კაცნი და რომელთამე ანგელოზნი და რომელთამე თავადი სიტყუად ღმრთისაჲ არს მოძღუარ და მომცემელ.

69. რაჟამს ორნი ბოროტნი მოიწინენ, ჯერ არს უდარესისა გამორჩევად, ვითარ-იგი: ვდგით რად ლოცვასა შინა და მოვიდის ძმად ვინმე და ერთისა ორთაგანისა ქმნად თანაგუედვის – ანუ დატეობად ლოცვისაჲ, ანუ არახილვად ძმისად მის და შეწუხებად მისი, მაშინ უკუე გულისჴმა-ვყოთ, ვითარმედ უაღრეს და უზეშთაეს არს სიყუარული ლოცვისასა, რამეთუ ლოცვად თავით თვისით ოდენ ერთი სათნოებად არს, ხოლო სიყუარული შემკრებელი არს ყოველთა სათნოებათად.

70. და კუალად, მივედ ოდესმე სიჭაბუკესა ჩემსა ქალაქად, და ვჯედე რად ტაბლასა ზედა, გარემომადგეს ნაყოვანებისა და ზუაობისა გულისსიტყუანი. ხოლო მე შევეძრ-

წუნდი ნაშობისა მისგან ნაყროვანებისა, რომელ არს სიძვად, და ვიძლიე უფროდსად ზუაობისაგან.

71. ერისკაცთა შორის ძირი ყოველთა ბოროტთა არს ვეცხლისმოყუარება, ხოლო მონაზონთა შორის – ნაყროვანება.

72. მრავალგზის სულიერთა თანა დატყევებულ იქმნიან ღმრთისა მიერ წულილადნი რადმე ვნებანი განგებულე-ბით, რადთა უნდოთა მათ და არარათა ზედა თავთა თვსთა აბრალებდენ და მოიგონ სიმდიდრეწ ნარუპარველი სიმდაბ-ლისა მის სანატრელისა.

73. ახლადმოსრულნი ვერ შემძლებელ არიან თვნიერ მო-რჩილებისა სიმდაბლისა მოგებად. რამეთუ ყოველმან, რომელმან თავით თვსით ისნავის ველოვნება რადმე, უეჭუელად ზუაობნ მას ზედა.

74. ორთა სათნოებათა შინა შემოკრებების ყოველივე საქმე სათნოებისად, ვითარცა მამანი იტყვან, რომელთაგან ერთი იგი გულისთქუმათა დამწსნელი არს, და მეორე იგი – დაწსნასა მას ვნებათასა სამარადისოდ დაიცავს სიმდაბლისა მიერ. ამისთვისცა გლოვად ორ-კერძოდ არს: რამეთუ ცოდვა-სა დაჰწსნის და სიმდაბლესა შემოიყვანებს.

75. ღმრთისმოშიშთა არს საქმე ესე: რადთა ყოველ-მან, რომელმანცა ითხოოს მათგან, მისცემდენ; ხოლო რომელნი მისცემდენ მათცა, რომელნი არა ითხოვდენ, ესე უზეშთაესთა არს; ხოლო რომელნი მომტაცებელთა მათთა-გან არა ითხოვდენ, და უფროდსად თუ შე-ცა-ედლოს, ესე სრულიად სრულთა საქმე არს.

76. გამოვიძინეთ თავნი ჩუენნი ყოველთავე ვნებათა ზედა და სათნოებათა, თუ რომელსა საზომსა შინა ვართ: დასაბამსა, ანუ საშუალსა ანუ აღსასრულსა.

77. ყოველნივე ეშმაკთა ჩუენდა მომართ ბრძოლანი სამთა ამათ მიზეზთაგან იქმნებიან: ანუ გემოთმოყუარები-საგან, ანუ ამპარტავანებისა, ანუ შურისაგან მათისა. და

უკუანადსკნელნი იგი სანატრელ არიან, და საშუალნი ყოვლად უბადრუკ, ხოლო პირველნი სრულიად უჭმარ.

78. არს გულისსიტყუა რადმე და ცნობად, რომელსა ჭირთა თავსმდებელ ენოდების, რომელი-იგი უკუეთუ დამკვდროს კაცისა თანა, არლარა შეშინდეს იგი, არცა უკუნ-იქცეს მოღუანებისა და ჭირისაგან ჯორცთადასა.

79. ამის სანატრელისა გულისსიტყუსა მიერ შეპყრობილ იქმნეს სულნი მონამეთანი და ადვილად შეურაცხ-ყვნეს სატანჯველნი.

80. სხუად არს დაცვა გულისსიტყუათა და სხუად არს დაცვა გონებისად, და, ვითარცა-იგი განშორებულ არს აღმოსავალი დასავალისაგან, ეგრეთვე უმაღლეს არს მეორეც ესე პირველისა მის, დაღაცათუ უძნელეს არს.⁴⁵

81. სხუად არს ლოცვა გულისსიტყუათათს და სხუად არს სიტყვსგება მათდა მიმართ, და სხუად არს არად შერაცხვად მათი. და პირველსა მას სახესა ეწამების იგი, რომელმან თქუა: „ღმერთო, შენვენასა ჩემსა მომხედენ“ (ფსალმ. 69,2), და მსგავსი ამისი; და მეორესა მას ეწამების იგი, რომელმან თქუა, ვითარმედ: „მიუგო მაყუედრებელთა ჩემთა სიტყუად წინააღმდგომი“ (მღრ. ფსალმ. 118,42), და კუალად იტყვს, ვითარმედ: „მყვენ ჩუენ საყუედრელ მოძმეთა ჩუენთა“ (ფსალმ. 79,7); ხოლო მესამესა მას საქმესა ეწამების სიტყუად იგი, ვითარმედ: „დავყრუვდი და არა აღვადე პირი ჩემი“ (ფსალმ. 38,10), და „დავსდევ საცოად პირსა ჩემსა, მიწდებოდა რად ცოდვილი წინაშე ჩემსა“ (ფსალმ. 38,2), და

⁴⁵ გონებად არს თავადი იგი მოგონებისა, ადგილი და ძალი, რომელი ვითარცა თუალი არს სულისად; ხოლო გულისსიტყუად არს გონებისა მიერ მოგონებული და გამოსახული საქმე; და „დამარხვად გონებისად“ არს, რადთა სრულიად შეუწყნარებელად დაჰმარხოს იგი კაცმან ნულილადთაგანცა მოსვლათა და მოგონებათა არაკეთილთა; ხოლო „დაცვა გულისსიტყუათად“ არს, რადთა მოგონებული იგი და მოსრული გონებად საქმე გარემიაქციოს.

კულად იტყვს, ვითარმედ: „ამპარტავანნი ურჩულობდეს ფრიად, ხოლო მე შენისა ხედვისაგან არა მივდრიკე გონებად ჩემი“ (შდრ. ფსალმ. 118,51). ამათგანი საშუალი იგი მრავალგზის იჭმარებს პირველსა მას სახესა, რაჟამს განუმზადებულად პოონ გულისსიტყუათა და ვერ ეძლოს სიტყვსგებად. ხოლო პირველი მეორესა მას სახესა ქმნად ვერ შემძლებელ არს, რადთამცა მის მიერ განდევნა მტერნი. მესამესა კულა სრულიად ეშმაკნი უგულუბელს-უყოფიან.

82. ბუნებით შეუძლებელ არს, რადთამცა უჯორცოსა მას ჯორცთა საზღვარი დაუდვეს ვერ-სადა განსლვად გარეგან საზღვრისა მის. ხოლო რომელმან ღმერთი მოიგოს თავსა შორის თვსსა, მის მიერ ყოველივე შესაძლებელ არს.

83. ვითარცა, რომელთა საყნოსელნი მრთელ იყვნენ, შემძლებელ არიან ცნობად, უკუეთუ ვის ფარულად ეტკრთოს ნელსაცხებელი მათ თანა, ეგრეთვე სული წმიდად სულნელებასა მასცა, რომელი მან მოიგო ღმრთისაგან, და სიმყრალესაცა, რომლისაგან განთავისუფლდა, შემძლებელ არს ცნობად სხუათა თანა, რად იხილოს უცნაურად მათგან, რომელთა აქუნდეს.

84. ყოველთავე უვნებელ-ყოფად შეუძლებელ არს, ხოლო ყოველთა ცხორებად და ღმრთისა სათნო-ყოფად არა შეუძლებელ არს.

85. ნუმცა გეუფლებიან უცხოთესლნი იგი, რომელნი გამოუთქუმელთა მათ განგებულებათა ღმრთისათა და ჩუენებათა მისთა, რომელთა მოავლენს კაცთა ზედა, ენების გამოკულევა, და შინაგან მოაგონებდიან, ვითარმედ ღმერთი თუალმღებელი არს, რამეთუ იგინი ამპარტავანებისა ნაშობნი არიან ყოვლითურთ.

86. ოდესმე ეშმაკი ვეცხლისმოყუარებისად სიმდაბლესა იჩემებნ, და კულად ოდესმე – ეშმაკი ცუდადმზუაობრობისად გუანუენ მონყალებისა ყოფად, და ეგრეთვე – ეშმაკი გემოთმოყუარებისად. ხოლო უკუეთუ ამათ ორთაგან წმი-

და ვიქმნეთ რადთ, ნუმცა დავსცხრებით ყოველსა ადგილსა მონყალეებისა ყოფად.

87. მრქუეს ვიეთმე, ვითარმედ: „არიან ეშმაკნი ეშმაკთა წინააღმდგომნი“, ხოლო მე გულისწმა-ვყავ, ვითარმედ ყოველნივე ჩუენსა წარწყმედასა ეძიებენ.

88. ყოვლისავე საქმისა სულიერისა, ხილულისა და უხილავისა წინამძღუარ არს გულისსიტყუად და სურვილი კეთილი შენვენასა თანა ღმრთისასა. რამეთუ უკუეთუ ესენი არა უძლოდინ, სათნოებანი არა იქმნებიან.

89. უკუეთუ ყოველსავე საქმესა, რომელ არს ცასა ქუეშე, ჟამი უჩნს (შდრ. ეკლ. 3,1) – ვითარცა ბრძენი სოლომონ იტყვს – ხოლო ყოველსა მას შინა ჩუენისაცა ამის საღმრთოდასა მოქალაქობისა საქმენი არიან, ამისთვის გულისწმა-ვყოთ და თითოეულსა საქმესა ჟამსა თვისსა ვეძიებდეთ. რამეთუ უეჭუელად მოლუანეთა შორის ჟამი არს უვნებელობისად, და ჟამი ვნებულებისად სიჩჩოდასათვს მოლუანეთადასა.

90. ჟამი არს ცრემლთად და ჟამი – გულფიცხელობისად, ჟამი არს მორჩილებისად და ჟამი – წინამძღურობისად, ჟამი არს მარხვისად და ჟამი – ჭამისად, ჟამი არს ბრძოლისა მტერთა მათ ჯორცთადასა და ჟამი – მოკუდინებისა მწურვალეებისად მის, ჟამი არს ზამთრისა სულიერისად და ჟამი – მყუდროებისა გონებისად, ჟამი არს მწუხარებისა გულისად და ჟამი არს სიხარულისა სულიერისად, ჟამი არს სწავლისად და ჟამი – სმენისად. ჟამი მოინვეის შეგინებისად ამპარტავანებისათვს და ჟამი სინმიდისად – სიმდაბლისათვს. ჟამი არს ბრძოლისად და ჟამი არს განსუენებისად, ჟამი არს დაყუდებისად და ჟამი – უზრუნველისა ზრუნვისა და გარესლვისად, ჟამი არს ლოცვისა დანყნარებულისად და ჟამი არს მსახურებისა უზაკუველისად. ნურარასმცა ვეძიებთ პირველ ჟამისა ამპარტავანებისაგან, ნუ ვეძიებთ ზამთრის – საქმესა ზაფხულისასა, ნუმცა ჟამსა თესვისასა – საქმესა მკისასა. რამეთუ ჟამი არს თესვისა შრომათადასად და ჟამი

არს მომკისად მადლთა მათ გამოუთქუმელთად. ხოლო უკუეთუ პირველ ჟამისა ვეძიებდეთ საქმეთა, ვერცა ჟამსა თვისსა ვპოვნეთ იგინი.

91. რომელთამე პირველ შრომისა, და რომელთამე – შემდგომად შრომისა, და რომელთამე – ჟამსა სიკუდილისასა მოიხუნეს ღმრთისაგან ნიჭნი და სასყიდელნი თვისთა შრომათანი განგებულებითა გამოუთქუმელითა. საძიებელ არს უკუე, თუ რომელი ამათგანი არს სხუათასა უმდაბლეს სამთა ამათ შორის.⁴⁶

92. არს სასონარკუეითილება სიმრავლისაგან ცოდვათადასა და სიმძიმისაგან სკნიდისისა და მწუხარებისაგან ფრიადისა, რაჟამს დაინთქას სული წყლულებათა შინა და სიმძიმისაგან მათისა უფსკრულად სასონარკუეითილებისა შთავარდებოდის. და არს კუალად სასონარკუეითილება ამპარტავანებისაგან და სიმალლისა მოწვეწული, რაჟამს კაცი იგონებდეს, თუ რადმცა მოიწია ჩემ ზედა ცთომად ესე, რამეთუ არა ღირს ვიყავ ამას საქმესა. და რომელი გულისწმა-ჰყოფდეს, ჰპოოს ამათ ორთავე თანა განყოფილი საქმწ, რამეთუ ერთმან მან მისცის თავი თვისი უწესობასა, და მეორემან ამან – მოლუანებასა სასონარკუეითილებით, რომელესე მოუზავებელ არს. არამედ პირველსა მას განჰკურნებს მარხვად და სასოებად ღმრთისად, ხოლო მეორესა ამას – სიმდაბლწ და არავისი განკითხვად.

93. სახედ და კანონად ესე გაქუნდინ ყოველთავე მოქალაქობათა და საქმეთა შინა შენთა, გინა-თუ მორჩილებასა შინა იყო, ანუ-თუ თვისაგან, რადთა ყოველსავე ხილულსა გინა უხილავსა საქმესა შენსა ხედვიდე, უკუეთუ საღმრთოდ იქმნების. ხოლო ესე ესრეთ გულისწმა-გყოთ, რამეთუ, რომელნი ახლად მოსრულნი ვართ, უკუეთუ

⁴⁶ ორ სახედ არს ამათი განყოფად, რამეთუ ერთითა სახითა პირველი უმდაბლეს არს, ხოლო მეორითა – უკუანადკნელი.

საქმესა რასმე ვიქმოდით და არა შეგუემატებოდის მის მიერ სიმდაბლჳ, უმრავლესი მისსა, რომელი გუაქუნდეს, არა ვჰგონებ, თუმცა საღმრთოდ იყო საქმჳ იგი, დიდი თუ იყოს, ანუ მცირჳ. და ესე არს სასწაული ნებისა ღმრთისაჲ ჩუენ შორის, რომელნი ჯერეთ ჩჩჳლ ვართ. და საშუალთათჳს განშორებაჲ ბრალთაჲ არს სასწაულ ნებისა ღმრთისაჲ, ხოლო სრულთათჳს – საღმრთოჲსა მის ნათლისა განმრავლებაჲ და შემატებაჲ.

94. მცირედნი ცთომანი წინაშე დიდთაჲსა არა-მცირე არიან; ხოლო დიდნი მცირეთა თანა არა დიდად ჩანან.

95. რაჟამს განწმდეს ჰაერი ღრუბელთაგან, მაშინ იხილვების მჳჳ წმიდად; და სული, რაჟამს ღირს იქმნას მოტევებასა პირველთა ცოდვათასა, მაშინ იხილოს ნათელი იგი საღმრთოდ კეთილად.

96. სხუად არს ცოდვაჲ და სხუად არს უქმობაჲ, და სხუად არს უდებებაჲ, და სხუად არს ვნებაჲ და სხუად არს დაცემაჲ.⁴⁷ რომელი შემძლებელ იყოს უფლისა მიერ ძიებად, ეძიებდინ კეთილად.

97. რომელნიმე სასწაულთმოქმედებასა და წინაღწარმეტყუელებასა ნატრიან უფროჲს ყოველთა ნიჰთა და მადლთა სულიერთა, და არა უწყიან, ვითარმედ მრავალნი არიან ამათსა უზეშთაესნი საზომნი, რომელნი-იგი დაუცემელადცა ჰგიან მარადის.

98. რომელი სრულიად განწმედილ იყოს, იგი ჰხედავს სულსა მოყუსისასა, თუ ვითარ არს, დაღაცათუ თავადსა მას

⁴⁷ „ცოდვაჲ“ ითქუმის ყოველივე მცნებისა გარდასლვაჲ, ხოლო „უქმობაჲ“ – არამოლუანებაჲ და [არა]ქმნაჲ საქმეთა ღმრთისათაჲ; და „უდებებაჲ“ არს, რაჟამს იქმოდის კაცი კეთილსა, გარნა დაწსნილობით და ვერ სრულად; და „ვნებაჲ“ არს დამტკიცებული და ძნიად წარდევნადი და ვნებული გონებისა ჩუენისა მიდრეკილობაჲ; ხოლო „დაცემაჲ“ არს ურწმუნოებაჲ ანუ ჳორციელთა ცოდვათაგანსა რასამე შთავრდომად.

სულისა არსებასა ვერ იხილავს. ხოლო რომელი ვერ სრულ-
ქმნილ იყოს, არამედ ჯერეთ წარმართებასა შინა იყოს, ჯორ-
ციელთა მიერ საქმეთა გულისწმა-ჰყოფს სულისასაცა.

99. ცეცხლმან მცირემან მრავალგზის ყოველივე ნივთი
განწმიდის, და ჯურელმან მცირემან მრავალგზის ყოველივე
შრომად დააცარიელის.

100. მრავალგზის განისუენებდიან რაჲ ესე მტერნი ჯო-
რცნი, ძალი ბუნებისაჲ ეგის, და მჭურვალებაჲ წარმწყმე-
დელი არა აღდგის. და კუალად მრავალგზის დავადნენით
იგინი მოღუანებითა, და აღძრვანი ბოროტნი აღძრვოდი-
ან ჩუენ შორის, რაჲთა არა თავთა ჩუენთა მოსავ ვიყვნეთ,
არამედ მისსა, რომელი-იგი უხილავად ცხოველთა მათ და
მტერთა ჯორცთა მოაკუდინებს.

101. რაჟამს ვიხილნეთ ვიეთნიმე, რომელთა უყუარდეთ
ჩუენ ღმრთისათჳს, უფროჲსად მათდა მიმართ ვეკრძალნეთ,
რაჲთა არა კადნიერ ვიქმნეთ. რამეთუ არარაჲ არს ესრეთ
დამჴსნელ სიყუარულისაჲ და მოქმედი სიძულილისაჲ, ვითარ
კადნიერებაჲ.

102. შუენიერ არს და წმიდა და კეთილად მხილველ
თუალი სულისაჲ, და შემდგომად ანგელოზთა სიკეთისა
ყოვლისავე ბუნებისა უაღრეს არს. ამისთვისცა ვნებულ-
თაცა გულისსიტყუანი, რომელნი სხუათა გულთა შინა იშვ-
ნიან, სიყუარულად მათდა მიმართ შეუძლეს ცნობად, და
უფროჲსად – რაჟამს არა შეიგინებოდინ და დაინთქმოდინ
მწკრეთა ამათ ჯორცთა მიერ.

103. უკუეთუ არარაჲ ესრეთ წინააღუდგების უნივთოსა
მას, ვითარ ნივთიერი იგი, რომელი იკითხვიდეს, გულისწმა-
ყავნ.⁴⁸

104. რომელნი უძღურ არიან სულითა, იგინი ჭირთაგან
და განსაცდელთა ჯორციელთა გულისწმა-ჰყოფედ ღმრთისა

⁴⁸ „უნივთოჲ“ არს სული და „ნივთიერ“ – ჯორცნი, და ამისთვისცა
ჯორცნი წინააღმდგომ არიან სულისა.

მათ ზედა მოხედვასა;⁴⁹ ხოლო სრულნი – მოსლვითა სული-
სა წმიდისაჲთა და განმრავლებითა მადლთაჲთა.

105. არიან სულნი, რომელნი სურვილითა საღმრთოჲთა
განმწნდებიან და სიმდაბლითა გულისაჲთა იქმან სათნოე-
ბათა დიდთა; და სხუანი ჴელ-ჰყოფენ საქმესა ამას ამჰარტა-
ვანებითა და სირცხვლეულ იქმნებიან.

106. არს ეშმაკი, რომელი რაჟამს სარეცელთა ზედა
დავწვით, მაშინ მოვიდის ჩუენდა, და ბოროტითა და შეგი-
ნებულითა გულისსიტყუთა ისწრაფინ მონყლვად ჩუენდა. და
უკუეთუ ჩუენ უდებ-ვყოთ და არა შევიჭურნეთ ლოცვითა
მისა მიმართ და დავიძინოთ ბოროტთა მათ გულისსიტყუა-
თა შინა, შევცკვეთ სიზმართა ბილნთა.

107. არს კუალად სხუად ეშმაკი, რომელსა წინამავალ და
მსტოარ ეწოდების, რომელი-იგი გან-რაჲ-ვილჳძით, მოგჳ-
დის და ისწრაფინ უპირატესთა მათ გულისსიტყუათა ჩუენ-
თა შეგინებად.

108. დაწყებაჲ დღისაჲ მიეც უფალსა, რაჲთა გან-რაჲ-
თენეს, მის მიერთა გულისსიტყუათა დაიმკვდრონ შენ შო-
რის და არა ეშმაკისა მიერთა, რამეთუ რომელმან უსწროს,
მისიცა იყოს დღჳ იგი.

109. სიტყუად საქებელი მითხრა მუშაკმან კეთილმან სა-
თნოებისამან, ვითარმედ: „გან-რაჲ-თენის, მეყსეულად ვცნი,
თუ ვითარ ყოფად ვიყვი მას დღესა ყოველსავე“.

110. მრავალნი არიან ღმრთისმსახურებისაცა და წარწყ-
მედისაცა გზანი, ამისთჳსცა მრავალგზის, რომელი ერთისა
წინააღმდგომ არნ, მეორესა მოუხჳდის კეთილად; და ორ-
თაჲვე საქმჳ სათნო არნ წინაშე უფლისა.

111. რაჟამს შეგუემთხვის განსაცდელი რაჲმე, მაშინ გუ-
ბრძვანედ ეშმაკნი, რაჲთამცა ვთქუთ რაჲმე, ანუ ვქმენით

⁴⁹ ესე იგი არს, ვითარმედ, ოდეს სულითა უძღურმან სნეულე-
ბათა შინა და განსაცდელთა მოთმინებაჲ მოიგოს, მაშინ გულის-
ჴმა-ყავნ, ვითარმედ მოხედვად ღმრთისაჲ იქმნა მის ზედა.

ბოროტი. და რაჟამს ესე ვერ გუაქმნიიან, მაშინ ფარულად მოგკვდიან და დასთესიან ჩუენ შორის მადლობად, საესჴ ამ-პარტავანებთა.

112. რომელთა ზეცისა საქმენი ექმნენ, გან-რად-ეშორე-ბოდინ ერთითა მით ნანილითა, ზეადვლენ; ხოლო რომელნი ქუეყანისასა ზრახვიდენ, ქუე-შთავლენ, რამეთუ განშორე-ბულთაგან საშუალ არავინ დაადგრების.⁵⁰

113. ერთი არს დაბადებულთა შორის, რომელსა სხუასა თანა მოუღებეს არსებად და არა მარტო. და საკვრველ არს, თუ ვითარ გარეშე მისსა, რომლისა შორის მოუღებეს არსე-ბად, შემძლებელ არს იგი ყოფად უვნებელად.⁵¹

114. კეთილთა მათ ასულთა დედანი შობენ, ხოლო დე-დათა – უფალი. და წინააღმდგომთა მათ ბოროტთა ასულთა დედანი მათნი შობენ, ხოლო დედათა მათ – ეშმაკი.

115. მოშიში⁵² ბრძოლად ნუ განვალნ, მოსე ბრძანებს – და უფროდსლა ღმერთი; ნუჟკუე უკუანადსკნელი ცთომად სულისად უძკრეს პირველისა მის დაცემისა ჴორცთადასა იქმ-ნას.⁵³

⁵⁰ „განშორებად“ აქა სიკუდილსა იტყვს. ხოლო რომელ იტყვს, თუ ერთითა ნანილითა ანუ ზეადვლენ, ანუ ქუე-შთავლენ, სულისათვს იტყვს. რამეთუ იგი არს, რომელი ანუ ზეცას აღვალს, ანუ ქუესკნელს შთავალს და საშუალ არა დაადგრების, ხოლო ჴორცნი დარჩებიან ქუეყანასა ზედა.

⁵¹ სულისათვს იტყვს და ჴორცთათვს კაცისათა. რამეთუ კაცისა სულსა ჴორცთა შინა მოუღებეს არსებად და მათ შინა დაბადებულ არს, და უკვრს მისთვს ნეტარსა ამას, თუ ვითარ გან-რად-ეშორის მას, რომელსა შინა დაბადებულ არს, ჰგიეს სრულად და უვნებელად და უცვალებელადვე.

⁵² „მოშიშად“ ჴორცთამოყუარესა იტყვს, ვითარმედ, რომელი მოშიში არს და უგულოდ და ეწყალიან ჴორცნი თვსნი და უყუარან იგინი, იგი მოღუანებად ნუ შევალნ.

⁵³ „დაცემად“ იტყვს ჴორციელსა ცოდვასა, და „ცთომად სუ-ლისა“ – სასონარკუეთილებასა. ხოლო თქუა, ვითარმედ – „უძკ-

განკითხვისა და გულისჯმის-ყოფისათვის

თავი მეორე

116. ვითარცა სურინ ირემსა წყურიელსა წყაროთა მიმართ წყალთადასა (შდრ. ფსალმ. 41,1), ეგრეთვე სურინ სულსა მონაზონთასა ცნობად ნებისა ღმრთისა, სახიერისა მის და კეთილისა და სრულისა, და მას თანა შეზავებულისადაცა,* და კუალად წინააღმდეგომისადაცა და ბოროტისა ნებისა. რომლისათვის მრავალ არს სიტყუად ჩუენი და ძნიად სათარგმანებელ, და თუ რომელნი საქმენი საჭმარ არიან, რათა მსწრაფლ იქმნენ და უდროებელად (მსგავსად სიტყვსა მის, რომელი იტყვს, ვითარმედ: „ვად არს მისდა, რომელი ადროებდეს დღითი-დღე და ჟამითი-ჟამად“ (შდრ. ზირ. 5,8)), ანუ რომელნი საქმენი არიან, რომელთა დაწყნარებულად და მრავლითა განზრახვითა ჯერ არს ქმნად (ვითარცა გუასნავებს მეტყუელი იგი, რომელი იტყვს, ვითარმედ: „განზრახვითა კეთილითა იქმნების ბრძოლად“ (შდრ. იგავ. 20,18), და კუალად იტყვს, ვითარმედ: „ყოველივე წესიერად და ჯეროვნად იქმნებოდედ“ (1 კორ. 14,40)). რამეთუ ვერ ყოველთა ძალ-უც ამათ ძნიად გულისჯმის-საყოფელთა გუ-

რეს პირველისა დაცემისა“ ამისთვის, რამეთუ რომელმან ერთგზის ყოს აღთქუმად სულიერად ყოფისა და კუალად დაეცეს, უძნელეს არს მისი აღდგომა, რამეთუ სიმაღლით დაეცა. ხოლო „უკუანადსკნელად ცთომად“ სასონარკუეთილებასა უწესს, რომელსა შინა რომელნიცა შთავარდენ, უკუეთუ არა ჰყვეს აღმადგინებელი, წარწყმდებიან.

* რად არს „შეზავებული ნება“, რომელსა იტყვს ესე ნეტარი? გარნა-თუ ესე არს, რამეთუ მრავალგზის იქმნ კაცი საქმესა რასმე და არნ მას შინა ნება ღმრთისა, და მერმე მეყსეულად შეეზავის მას თანა ნებაცა ეშმაკისა და კუალად იქმნ საქმესა არაკეთილსა; და მერმე შეერთვს მას შინა საღმრთოცა ნება და იქმნის იგი კეთილ.

ლისჯმის-ყოფად აღვილად; ვინაფთგან ღმერთშემოსილიცა იგი და რომელსა აქუნდა სული წმიდაჲ მის შორის, მრავალგზის ილოცვიდა ესევეითართა ამათ საქმეთათჳს, და ოდესმე იტყოდა, ვითარმედ: „მასწავე მე, რაფთა ვყო ნებაჲ შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩემი“ (ფსალმ. 142,10), და კუალად ოდესმე იტყოდა, ვითარმედ: „მიძელუ მე გზათა შენთა“ (ფსალმ. 24,5), და კუალად, ვითარმედ: „მაუწყე მე უფალო, გზად, რომელსაცა ვიდოდი“ (ფსალმ. 142,8), რამეთუ შენდა მომართ ყოველთაგანვე ზრახვათა და ვნებათა ამის სოფლისათა აღვილე და აღვამალლე სული ჩემი“.

117. რომელთაცა ჰნებავეს ცნობად ნებისა ღმრთისა, თანაც თავთა თჳსთა მოკუდინებაჲ, და რაფთა ილოცონ მარტივითა და უმანკოფთა გულითა სარწმუნოებით, და ჰკითხონ მამათა ანუ ძმათა სულიერთა და შეინყნარონ მათ მიერ განზრახული, ვითარცა პირისაგან ღმრთისა, დაღაცათუ სიტყუაჲ იგი წინააღმდგომ მათისა მის გულისსიტყჳსა იყოს, და დაღაცათუ არა ფრიად სულიერნი და გულისჯმისმყოფელნი იყვენენ, რომელთა ჰკითხვიდენ. რამეთუ არა უგულებელს-ჰყოფს უფალი სულთა, რომელნი სარწმუნოებით და უმანკოებით მინდობილ იყვენენ განზრახვასა მამათასა და, დაღაცათუ უმეცარ იყვენენ, რომელთა ჰკითხვიდენ, არამედ მეტყუელი მათი უფალი არს, ყოვლადბრძენი იგი და სახიერი.

118. მრავლითა სიმდაბლითა სავსე არიან მოქმედნი იგი პირველთქუმულისა მის საქმისა სიხარულით და შეუორგულებელად. რამეთუ, უკუეთუ საგალობელითა ვინმე აღაღებდა იგავთა (შდრ. ფსალმ. 48,5), რაოდენ უაღრეს არს გონებაჲ სიტყვერი და სული გონიერი უსულოფსა მის საგალობელისა!

119. რომელთა არა ინებეს ამის პირველთქუმულისა საქმისა ქმნად, არამედ თავით თჳსით ისწრაფეს ცნობად ნებისა უფლისა, მრავალფერთა და მრავალსახეთა ღონეთა ქმნად გკთხრეს ჩუენ, რომელთაგანნი ან ესერაცა ვთქუნე.

120. განაშორნეს ვიეთმე გონებად თვისი სრულიად ყოვლისავე ჳორციელისა სიყუარულისა, რაჟამს აქუნდა ორი რადმე განზრახვად და ენება ცნობად, თუ რომელი არს ნებად ღმრთისად. და დაიმჭირეს გონებად მათი, რადთა არცა ერთისა მათ ორთაგანისა მიმართ მიდრკებოდის; და გონებად მათი, შიშულად ნებისაგან თვისისა, მჭურვალთა ლოცვითა დაწესებულთა დღეთა წარუდგინეს უფალსა და ესრეთ პოეს ნებისა მისისა ცნობად: რაჟამს ანუ გონებად უხილავი უხილავად ეზრახა გონებასა მათსა და უთხრა უმჯობესი, ანუ ერთი იგი გულისსიტყუად სრულიად სულისა მათისაგან უჩინო იქმნა. და სხუათა კუალად განსაცდელისაგან და დახრწევისა მონვენულისა საქმესა მას ზედა ცნეს, ვითარმედ ღმრთისა მიერ იყო დახრწევად იგი, მსგავსად მეტყუელისა მის, რომელმან თქუა, ვითარმედ: „ვინებეთ მოსლვად თქუენდა მრავალგზის და დაბრკოლება იქმნა“ (1 თეს. 2,18). და სხუათა კუალად ამისი წინააღმდეგომი სასწაული დაიდვეს, და მონვენულთაგან ჭირთა და განსაცდელთა მას საქმესა შინა ცნეს, ვითარმედ ნებად ღმრთისად არს მას შინა. და სხუათა კუალად წარმართებისაგან და გამარჯუებისა ცნეს, ვითარმედ ღმერთსა ნებავს იგი, ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: „ყოველსავე მოქმედსა კეთილისასა ღმერთი განუმარჯუებს“ (შდრ. რომ. 2,10).

121. რომელსა ღმერთი აქუნდეს თავისა თვისისა შორის განმანათლებელად, მისი გონებად თვთ განათლებების ღმრთისა მიერ და გულსავსე იქმნების საქმეთა ზედა, თუ მსწრაფლ ჯერ არს ქმნად თითოეულისა, ანუ გვანად. ხოლო რაჟამს კაცი ორგულობდეს საქმეთა ზედა და ვერ გულსავსე იქმნებოდის, საცნაურ არს, ვითარმედ ჯერეთ განუწათლებელ და დიდებისმოყუარე არს სული მისი.

122. არა არს ღმრთისა თანა უსამართლოებად, რადთამცა დაუჭმა კარი, რომელნი სიმდაბლით ჰრეკდენ და ევედრებოდნ.

123. ყოველსავე, რომელსა ვიქმოდით, გულისსიტყუად ჩუენი ვიხილოთ, თუ რასა ზედა მიდრეკილ არს – რამეთუ ყოველი საქმე, რომელსა ვიქმოდით ღმრთისათჳს წმიდად ყოვლისავე ჴორციელისა საქმისა და გულისსიტყუსაგან, კეთილ იქმნას აღსასრული მისი, დაღაცათუ არაკეთილად ჩნდეს. უკუეთუ კულა ჴორციელი გულისსიტყუად იყოს მას შინა, არა უწყი, თუ იქმნას უმჯობესად, რამეთუ საშიმ არს.

124. გამოუთქუმელ არიან განკითხვანი უფლისანი, რამეთუ მრავალგზის განგებულებით ნებაჲ მისი დაფარის ჩუენგან, რამეთუ იცინ, ვითარმედ დაღაცათუ ვცნათ იგი, არა გუეგულების ქმნაჲ მისი. და ამისთჳს ყოვლაღვე არა გამოგვცხადის, რადთა არა უმეტესი საშჯელი მოიწიოს ჩუენ ზედა არაქმნისა მისისათჳს.

125. სული წრფელი განრომილ არს გულარძილები-საგან საქმეთაჲსა და დაუნთქმელად ცურავს ნავითა მით უმანკოებისაჲთა.

126. არიან სულნი ახოანნი, რომელნი ტრფიალებითა საღმრთოჲთა და სიმდაბლითა გულისაჲთა ჴელ-ჴყოფენ მოღუანებათა უზეშთაჲსთა მათისა ძალისა. და კუალად, არიან გულნი ამპარტავანნი, რომელნი ესრეთვე იქმან. რამეთუ მრავალგზის ეშმაკთა მოსწრაფე-მყვნიან ჴელყოფად უზეშთაჲს ძალისა ჩუენისა საქმეთა, რადთა მის გამო სულ-მოკლე ვიქმნეთ, და რომელი ძალ-გუედვას ყოფად, მისგან-ცა დავეცნეთ და ვიქმნეთ საცინელ მტერთა ჩუენთა.

127. ვიხილენ მე კუალად სულნი და გუამნი უძღურნი, რომელთა სიმრავლისათჳს ცოდვათა მათთაჲსა ჴელ-ყვეს უზეშთაჲს ძალისა მათისა მოღუანებათა და ვერ თავს-იდვეს, რომელთაცა მე ვასწავე და ვარქუ, ვითარმედ სიმრავლისაებრ სიმდაბლისა და არა სიმრავლისაებრ შრომათაჲსა შეინირვის სინანული ღმრთისა მიერ შემოქმედისა ყოველთაჲსა.

128. ოდესმე ადგილი ზრდილობისად იქმნის მასწავლელ ბოროტთა მრავალთა, და ოდესმე – ყოფად კაცთა თანა ბოროტთა, არამედ უფროსჯერ უკეთურებად სულისად და განდრეკილებად გონებისად იქმნის მომატყუებელ წარწყმედისა.

129. რომელი განშორებულ იყოს ორთა მათგან, იგი მესამისაგანცა განშორებულ არს, ხოლო რომელსა მესამე აქუნდეს, ყოველსავე ადგილსა გამოუცდელ არს იგი. რამეთუ არა არს ადგილი, რომელმანცა დაიცვა კაცი ცოდვისაგან, უკუეთუ თვთ არა ეკრძალებოდის.

130. უკუეთუ გუემჯოდინ ჩუენ ურწმუნონი, ანუ-თუ ბოროტად მორწმუნენი ნებიტა ბოროტითა, შემდგომად ერთ ანუ ორგზის სწავლისა, განვეშორნეთ მათ. ხოლო უკუეთუ სულიტა წრფელიტა ქემმარიტისა ცნობად ენებოს, ნუმცა დაესცხრებით ვიდრე აღსასრულადმდე კეთილისა თქუმად, გარნა ორნივე სიმტკიცისაებრ და საზომისა სულტა ჩუენ-თაჲსა ექმნათ.

131. უგუნურებად დიდ არს, უკუეთუ ვის ესმოდინ უზეშ-თაეს ბუნებისა იგი საქმენი წმიდათანი და უსასო იქმნას ცხორებასა თვსსა. რამეთუ ორი სარგებელი ექმნას მას, უკუეთუ ენებოს: ანუ აღილოს შური სიმწნისად ბაძვად კეთილისათვს, ანუ იცნას თავი თვსი და გულისწმა-ყოს კეთილად უძღურებად თვსი სიმდაბლიტა მით სანატრელიტა, რომელ არს მომატყუებელი კეთილთაჲ.

132. არიან შეგინებულნი ეშმაკნი, ეშმაკთა უბოროტესნი, რომელნი-იგი არა-თუ ჩუენ ოდენ გუებრძვიან ცოდვისა მიმართ, არამედ რაჲთამცა სხუანიცა ვიზიარენით ბოროტსა მას, რაჲთამცა უძკრესსა სატანჯველსა მივეცენით.

133. ვიხილე კაცი, რომელმან ისწავა ჩუეულებად ბოროტი სხვსაგან; და მოძღუარი იგი მის საქმისად მოვიდა გულისწმის-ყოფად და დასცხრა ბოროტისა მისგან და მოვიდა სინანულად, გარნა ცოდვისა მისთვს მონფისა მის უძღურ და ძნელ იქმნა სინანული მისი.

134. ფრიად არს, ჭეშმარიტად ფრიად და დიდ უკეთურებად სულთა მათ ბოროტთაჲ, და მცირედთა მიერ საცნაურ და ვჰგონებ, თუ ყოველივე არცა მცირედთა მიერ, თუ ვითარ ოდესმე შუებასა შინა და სიმაძღრესა მღვდარე ვიყვნით კეთილად, ხოლო ვიმარხვიდით რაჲ და ვილუწიდით, დანთქმულ-ვიყვნით ძილითა საწყალობელად; რაჟამს დაყუდებულ ვიყვნით, განფიცხნიან გულნი ჩუენნი, და ერსათანა რაჲ აღვერინით, ლმობიერ ვიქმნით; რაჟამს გუშინ, სიზმართა ბოროტთა ვხედვიდით, და მაძღარ რაჲ ვიყვნით, არარას ვხედვიდით; ჟამსა მოლუანებისასა ვიყვნით დაბნელებულ, და ვსკთ რაჲ ღვწოჲ, ლმობიერ და მხიარულ ვიქმნით. ამის ყოვლისათჳს, რომელი შემძლებელ არს უფლისა მიერ, განანათლენ განუნათლებელნი, რამეთუ ჩუენ განუნათლებელნი ვართ გულისწმის-ყოფად ესევეითართა საქმეთა. გარნა ამას ვიტყვთ, ვითარმედ არა-თუ ყოვლადვე ეშმაკისაგან იქმნების ესევეითარი ესე შეცვალებაჲ, არამედ ოდესვე არნ შეზავებულებისაგან ბუნებისა ამის, რომელი მომეცა მე, ჳორცთა ამათ გლახაკთა, და ზრქელთა და წინააღმდგომთა.

135. რაჟამს იქმნას ჩუენ ზედა პირველთქუმულთა ამათ საქმეთაგანი რაჲმე, მაშინ მჳურვალეებით და სიმდაბლით უფალსა ვევედრნეთ, და უკუეთუ შემდგომად ვედრებისა მის მრავალჟამ ეგრეთვე ვპოოთ, ვცნათ, ვითარმედ არა ეშმაკთაგან, არამედ ბუნებისაგან არს საქმწ იგი, ანუ-თუ განგებულებაჲ რაჲმე ღმრთისაჲ არს და ჰნებაჲს წინააღმდგომთა მიერ სარგებელი ჩუენი, რაჲთამცა ყოვლით-კერძო სიმაღლწ ჩუენი დაამდაბლა.

136. ფიცხელ არს და ძნელ გამოძიებაჲ უფსკრულისა მის ღმრთისა საშჯელთაჲსა, რამეთუ გამოძიებელნი ესევეითართანი სიმაღლისა ნავსა შინა ცურვენ.

137. ჰკითხა ვინმე ძმამან ბერსა ერთსა, მხედველთაგანსა დაფარულთასა, და ჰრქუა მას, ვითარმედ: „რადსათჳს ღმერთმან წინაღსწარ იცოდა დაცემაჲ ვიეთიმე, და შეამკვნა

იგინი ნიჭებითა და სასწაულებითა?“ ხოლო მან მიუგო, ვითარმედ: „ერთად – რაფთა სხუანიცა სულნი განაკრძალნეს; და მეორედ – რაფთა თვთმფლობელობად კაცთად გამოაჩინოს; და მესამედ – რაფთა საშჯელსა მას მერმესა უსიტყუელ-ჰყვენეს დაცემულნი იგი“.

138. ძუელმან მან რჩულმან, ვითარცა უძღურმან, თქუა, ვითარმედ: „ეკრძალე თავსა შენსა“ (2 სჯულ. 15,9); ხოლო უფალმან, ვითარცა ძლიერმან, ძმისაცა მოქცევაჲ გვზრძანა და თქუა, ვითარმედ: „უკუეთუ ცოდოს ძმამან შენმან“ (მათ. 18,15), და შემდგომი ამისი.

139. უკუეთუ წმიდა არს მხილებაჲ შენი და მდაბალ სწავლად შენი, იქმოდე სიტყუასა უფლისასა და უფროხსად მათ თანა, რომელნი თავს-იდებენ. უკუეთუ კულა მას საზომსა არა ხარ, მაშა რჩულიერსა მასვე სიტყუასა იქმოდე, და თავსა თვსსა ეკრძალე.

140. ნუ გიკვრს, უკუეთუ საყუარელნიცა შენნი შეგემტერნენ შენ, რამეთუ რომელნიმე ჭურჭელ ეშმაკისა არიან, და უფროხსად – მტერთა მისთა მიმართ.

141. მიკვრს მე, საყუარელნო, ერთსა ზედა საქმეთა ჩუენთაგანსა, თუ ვითარ სათნოებათა ზედა გუაქუს შენვენად ღმრთისამიერი, რომელი-იგი შემძლებელ არს ყოველსავე, და ანგელოზთა მისთა მიერ და წმიდათა მისთა. ხოლო ბოროტთა ზედა ეშმაკნი ოდენ არიან შემწე, და ჩუენ მოსწრაფე ვართ უფროხსად ბოროტთა და ვნებათა მიმართ, და ამისთვის ფრიად სიტყუად ვერ ძალ-მიც, არცა მნებავეს.

142. დაბადებულნი ყოველნივე, უკუეთუ ვითარ დაიბადნეს, მასვე ბუნებასა ზედა არიან, ვითარ მე ხატი ვარ ღმრთისად, და თიჯასა ამას თანა აღრეულ ვარ, ვითარცა იტყვს დიდი გრიგოლ ღმრთისმეტყუელი? უკუეთუ კულა დაბადებულთაგანი რაფმე არს გარეგან ბუნებისა მის, რომელსა ზედა დაიბადა, უეჭუელად, განალა თვსებისა მის მიმართ მისისა განუძღომელად სურვიელ არს.

143. ყოველივე ღონჭ იჭმარენ კაცმან, და ყოვლითა მოსწრაფებითა ისწრაფენ, რადთა თიჯად ესე აღიყვანოს და დასუას საყდარსა ღმრთისასა. და ნუვინ მიზეზობს აღსავალისა მის მიმართ, რამეთუ გზად და კარი განღებულ არს.

144. სმენად სულიერთა მათ სათნოებათად მამათადასად განაღძვებს გონებასა და სულსა კაცისასა ბაძვად შურისა მათისა. და სმენად მოძღურებისა მათისად კუალად აღიბაძვებს მათდავე მიმართ სურვილად, და უძღვს მათ მსგავსებად მათდა, რომელთა აქუს შური საღმრთოდ.

145. განკითხვად სანთელი არს ბნელსა შინა, წინამძღუარი არს შეცთომილთად და განმანათლებელი ბრმათად.

146. განმკითხველი მომპოვნებელი არს სიმრთელისად და დამარღუეველი და უჩინომყოფელი საღმობათად.

147. რომელნი მცირეთა საქმეთა ზედა სხვსათა განმკურნებელ არიან, ორითა სახითა აქუს ესე: ანუ ფრიადისა უგულისჭმოებისაგან, ანუ ფრიადისა სიმდაბლისათვს ადიდებენ და აღამაღლებენ საქმეთა მოყუსისათა.

148. ვისწრაფოთ, რადთა არა ოდენ ვჭბრძოდით, არამედ ვძლევდეთცა ეშმაკთა. რამეთუ, რომელი ჰბრძოდის, ოდესმე სძლევს და ოდესმე იძლევის, ხოლო რომელმან სძლოს სრულიად, იგი მარადის სძლევდესვე.

149. რომელი მძლე-ექმნა ვნებათა, იგი მოსწყლავს და შეჭმუსრავს ეშმაკთა და ეჩუენებინ მათ სახითა და ხატითა, ვითარმედ აქუს ვნებად და ესრეთ აცთუნებნ მტერთა და დარჩის მათგან უბრძოლველად და თვნიერ განსაცდელისა.

150. შეურაცხ იქმნა ოდესმე ძმა ვინმე გინებითა სხვსა მიერ. და იგი ყოვლადვე არა აღიძრა გულითა შფოთად, არამედ ილოცა გონებით და მერმე იწყო ღალადებად და ყვილიად ჳმითა ვნებისადათა შექმნულითა და აჩუენებდა, ვითარმედ ეტკივნა მას გინებისა მისთვის. და ესევეითართა სახითა დაფარა უვნებელობად იგი თვისი.

151. სხუად ძმაჲ კუალად ზემოჯდომისა იყო ყოვლითურთ მოძულე, და იჩემებდა სახესა და აჩუენებდა, ვითარმცა სტკიოდა მისთვის და ენება ზემოჯდომად.

152. ვითარ-მე მიგიტხრა შენ და გამოგიტარგმანო სინმიდჷ მისი, რომელი შევიდა სამეძვოსა და აჩუენებდა, თუ ბოროტისათჷს შევალს, ხოლო მან მეძავიცა იგი სინმიდედ მოიზიდა?!

153. სხუასა დაყუდებულსა ვისმე მოართუა ვინმე განთიად მსთუად ტევანი ყურძნისად, ხოლო ვითარცა წარვიდა, რომელმან-იგი მოართუა, მიხლდნა ბერი იგი ყურძნისა მას მსწრაფლ და შეჭამა იგი თჷნიერ გულისთქუმისა, რადთამცა უჩუენა ეშმაკთა თავი თჷსი, ვითარცა ნაყროვანი.

154. სხუასა ვისმე შემკობილსა სათნოებითა დაშჭირდა მცირედ ბაიად და აჩუენებდა დღე ყოველ თავსა თჷსსა, ვითარმცა სტკიოდა ბაიადსა მისთვის, ხოლო მას ყოვლადვე მისთვის ზრუნვად არა აქუნდა.

155. ფრიადი მღჷძარებაჲ და სიფრთხილჷ უჷმს ესევიტართა ამათ, ნუჷუკუე ვიდრე მათ ენებოს მოკიცხვად ეშმაკისად, მოიკიცხნენ ეშმაკისაგან. რამეთუ ესენი არიან, რომელთათჷს თქუა ნეტარმან მოციქულმან პავლე, ვითარმედ: „ვითარცა მაცთურნი და იგინი სამართლად ჭემმარიტ არიან“ (შდრ. 2 კორ. 6,8).

156. რომელსა ჰნებაჲს გუამისა და გულისა წმიდისა წარდგინებად წინაშე ქრისტჷსა, დაიმარხენ ურისხველობად და მარხვად. რამეთუ, თჷნიერ ამათსა, ყოველი შრომად ჩუენი ცუდ არს.

157. ვითარცა-იგი სინათლჷ თუალთად განწვალებულად არს და რომელნიმე ფრთხილად ხედვენ და რომელნიმე – ნაკლულად, ეგრეთვე მრავალსახენი განყოფილებანი ჰქონან საცნაურისა მის მზისა სულსა კაცისასა მოსლვათა.

158. სხუად არს ჯორციელთა ცრემლთა მიერ მომავალი სულსა შინა სიხარული და სხუად არს სულიერთა ცრემლ-

თამიერი; სხუად არს ჴორციელთა თუალთამიერი და სხუად არს სულიერთა მიერი; სხუად არს სმენისაგან სიტყუათადასა და სხუად არს თავით თვისით სულსა შინა ქმნილი; სხუად არს მორჩილებისაგანი და სხუად არს დაყუდებისაგან. და ამათ ყოველთაგან განყოფილად სხუად არს, რომელი აღტაცებითა გონებისადათა წარადგინებს სულსა წინაშე ნათელსა მას ქრისტესსა მიუთხრობელად და გამოუთქუმელად.

159. არიან სათნოებანი და არიან მშობელნი სათნოებათანი. რომელიცა უკუე ბრძენ არს, იგი მშობელთა მათ მოგებასა ზედა უფროდს მოსწრაფე არს.

160. მშობელთა მათ უფალი მხოლოდ არს ძალითა თვისითა მასწავლელ, ხოლო ნაშობთა მათ – სხუანიცა მრავალნი.

161. ვეკრძალნეთ, ნუუკუე რაჟამს ვიმარხვიდეთ, ნაკლულევანებასა მას ჭამადისასა ძილითა აღვასრულებდეთ, რამეთუ უგუნურთა საქმე არს ესე, ვითარცა-იგი კუალად უგუნურება არს მღვდარებისა ჟამსა ფრიადი ჭამად.

162. ვიხილენ მუშაკნი სათნოებისანი, რომელთა ჭირისა რადასათვისმე მცირედ მიეშუნეს ჭამადისა მიმართ, და მეყსეულად ღამე ყოველ ზედგომითა მწნეთა მათ და ახოანთა ტანჯეს მუცელი მათი და ასწავეს მას, რადთა განძღომისაგან სიხარულით ივლტოდის.

163. ჰბრძავნ უპოვართა ეშმაკი ვეცხლისმოყუარებისად ფიცხლად, ხოლო რაჟამს ვერ მძლე-ექმნის, მაშინ კუალად გლახაკნი შემოიხუნის მიზეზად და ესრეთ აიძულეზნ, რადთამცა უნივთონი იგი ნივთიერ-ყვნა.

164. რაჟამს გუბრძოდის სული სასონარკუეთილებისად, მაშინ მცნებად იგი, რომელი მისცა პეტრეს უფალმან, მოვიწესნოთ, ვითარ უბრძანა სამეოცდაათშუდგზის შენდობად (იხ. მათ. 18,22). რამეთუ რომელი სხუასა ამცნო, არამცა მან თავადმან უმეტეს ქმნაა? ხოლო რაჟამს ვზუაობდეთ, მაშინ სიტყუად იგი მოვიწესნოთ, ვითარმედ ყოველმან, რომელმან აღასრულოს ყოველივე რჩული სულიერი და სცთეს ერთსა

ვნებასა ზედა, რომელ არს სიმაღლც, არს იგი ყოვლისავე თანამდებ (შდრ. იაკ. 2,10).

165. არიან სულნი უკეთურნი და მოშურნენი ეშმაკთანი, რომელნი ნებსით თვსით განეშორებიან წმიდათაგან, რადათ არა იძლივნენ მათ მიერ და მოატყუან მათ გვრგვონობაჲ.

166. „ნეტარ არიან მშუდობისმყოფელნი“ (მათ. 5,9) და არავინ არს ამას ზედა მაცილობელ. ხოლო მე ვიხილე ვინმე, რომელმან ქმნა მტერობაჲ შორის ორთასა და ვჰნატრე მას.

167. იყვნეს ორნი ვინმე, რომელთა აქუნდა ურთიერთას სიყუარული სიძვისაჲ, ხოლო ბერმან ვინმე ბრძენმან და გამოცდილმან ქმნა მათ შორის სიძულილი ურთიერთას, რამეთუ შეასმენდა ერთსა მას მეორესა თანა, ვითარმედ მარადის ძკრსა გიზრახავსო და ბოროტსა იტყვს შენტვს, და ეგრეთვე მას – მეორესა თანა, და შეუძლო ბრძენმან მან უკეთურებისა ეშმაკთაჲსა ღონითა კაცობრივითა დაჰსნად. და ქმნა სიძულილი, დამჰსნელი სიძვისაჲ.

168. არიან კაცნი, რომელნი მცნებისა ერთისათვის მეორესა მცნებასა დაჰჰსნიან. რამეთუ ვიხილენ ჭაბუკნი, რომელთა საღმრთოდ უყუარდა ერთმანერთი გულითა წმიდითა, და სხუათა ვნებისა და სწილისისათვის გულსავსეყვეს ერთმანერთი და ჟამ რავდენმე განეშორნეს ურთიერთას, რადათა არავის ეცეს დაბრკოლება.

169. ვითარცა წინააღმდგომ არიან ურთიერთას დღც ქორწილისაჲ და დღც საფლავად მიყვანებისაჲ, ეგრეთვე არა ენამებიან ურთიერთას ამპარტავანებაჲ და სასონარკუეთილებაჲ. და მრავალგზის უწესობითა ეშმაკთაჲთა ესე მოუზავებელნი ვნებანი ერთგზის იპოვნიან სულსა შინა, რომელ-ესე საკვრველ არს.

170. არიან რომელნიმე არანმიდანი ეშმაკნი, რომელნი გუასწავლიდიან თარგმანებასა წერილთასა, და ამას უფროესად იქმოდინ გულთა შინა ცუდადმზუაობართასა, და უფროესად – რომელნი საფილაფოსოთა სწავლათა სწავლულ

არიან. და პირველად იწყიან მართლისა მოგონებად, რადთა მცირედ-მცირედ აცთუნნეს და წვალებასამცა შთაყარნეს და გამობათა.

171. რაჟამს ვიხილოთ ჟამსა მას ესევითარისა გულის-წმის-ყოფისასა შფოთი და დაუნყნარებლობაჲ და სიხარული უნესოდ, ამის გამო ვცნათ, ვითარმედ ეშმაკთა იგი ღმრთისმეტყუელებაჲ ღმრთისმბრძოლება არს და არა ღმრთისმეტყუელება.

172. დაბადებულთა დამბადებელისაგან მოუღებეს თითოეულსა წესი და დასაბამი და რომელთამე – დასასრულიცა; ხოლო სათნოებისა კიდე და დასასრული მიუწთომელ არს. რამეთუ იტყვს მგალობელი, ვითარმედ: „ყოვლისა დასასრულისა ვიხილე ოხჭანი, ხოლო ფართო და დაუსრულებელ არიან მცნებანი შენნი ფრიად“ (მდრ. ფსალმ. 118, 96).

173. უკუეთუ ვიდოდინ კეთილნი ვინმე მუშაკნი ძალითი-ძალად – ესე იგი არს, ძალისაგან საქმისა ძალად ხედვისა – და სიყუარული არასადა დასრულდების, და უფალმან იცევინ შესლვაჲ შიშისაჲ და განსლვაჲ სიყუარულისაჲ, რომლისა-იგი დასასრული დაუსრულებელ არს.⁵⁴ და უკუეთუ მას შინა წარვემართნეთ, არაოდეს დავსცხრეთ არცა ამას საწუთროსა, არცა მას საუკუნესა ნათელსა ზედა კუალად სხვსა ნათლისა მოღებად და გულისწმის-ყოფისა კეთილისა.

174. დაღაცათუ ვიეთმე უცხოოდ აღუჩნდეს სიტყუაჲ ესე, არამედ მე ვიტყვ, #, ნეტარო, ვითარმედ, ვითარცა ესე ზემო ვთქუ, თუ დაუსრულებელ არს სათნოებაჲ, და ანცა ვიტყვ, ვითარმედ არცა-თუ უვორცონი იგი ბუნებანი ანგელოზთანი

⁵⁴ ამისთვის იტყვს ამას, რამეთუ შიში მოიყვანებს კაცსა საქმედ და სიყუარული – ხედვად, და მერმე ხედვათა მათ სიყუარულისათა არღარა აქუს დასასრული, და ესრეთ იქმნების სლვაჲ ძალითი-ძალად. და უფალმან დაიცვას შესლვაჲ შიშისაჲ, რომელი შევალს საქმედ, და განსლვაჲ სიყუარულისაჲ, რომელი განვალს ხედვად.

არიან წარუმართებელ და მარადის ერთსა ზედა, არამედ ყოვლადვე დიდებითი დიდებად აღვლენ და გულისწმის-ყოფასა ზედა მარადის გულისწმის-ყოფასა განამრავლებენ.

175. ნუ გიკვრს, უკუეთუ კეთილიცა რაჲმე მოგაგონონ ეშმაკთა და მერმე თვთვე წინააღუდგებოდინ გულისსიტყვთა. რამეთუ ამას ამისთვის იქმან, რაჲთამცა დაგუარნმუნეს, თუ გულისა ჩუენისა ზრახვანი იცნიან მათ, არამედ ნუ იყოფინ! არა-თუ თვთ მათვე რაჲმე მოეგონოს ჩუენდა, არაჲ იციან სხუად.

176. ნუ ხარ მსაჯული მწარე და ბოროტად განმკითხველი, რაჟამს იხილნე ვინმე, რომელნი სიტყვთ მალალ და დიდ იყვნენ მოძღუარ და განმანათლებელ სულთა, ხოლო საქმით ვერ-ფიცხლად მოღუანე. რამეთუ მრავალგზის ნაკლულევანებაჲ საქმისაჲ აღასრულის სარგებელმან სიტყვსამან.

177. არა-თუ ყოველთა ყოველივე სწორად გუაქუს, რამეთუ რომელთამე თანა სიტყუად სძლევს საქმესა, და სხუათა თანა საქმჴ სძლევს სიტყუასა.

178. ბოროტი ღმერთსა არცა რაჲ დაუბადებიეს, არცა შეუქმნიეს, და ამისთვის სცთეს ვიეთნიმე, რომელთა თქუეს, ვითარმედ ვნებანი რომელნიმე ბუნებითნი არიან სულსა შინა, და არა გულისწმა-ყვეს, ვითარმედ საქმენი იგი, ბუნებასა შინა ჩუენსა კეთილად დაბადებულნი და სარგებელად ბუნებისა, ჩუენ ვნებად შევცვალენით. რამეთუ ბუნებით ჩუენ თანა თესლი არს შვილებისათვს, ხოლო ჩუენ შევცვალებით იგი სიძვად; ბუნებით გულისწყრომაჲ ჩუენ თანა არს ეშმაკთა მიმართ, და ჩუენ ვიწმარებთ მას მოყუსისათვს; და არს კუალად ჩუენ თანა შური ბუნებით, არამედ რაჲთა კეთილისა ქმნად მოშურნე ვიყვნეთ, ხოლო ჩუენ ბოროტსა ზედა გუაქუს იგი; ბუნებით არს ჩუენ შორის გულისთქუმაჲ, არამედ სასუფეველისათვს, ხოლო ჩუენ შევცვალებით იგი ცოდვისათვს; და გუაქუს სიმაღლესა ბუნებით, არამედ ეშმაკთა ზედა, ხოლო ჩუენ მოვიღეთ იგი სადა არა ჯერ არს;

და მოგუეცა ბუნებით სიხარულიცა, არამედ უფლისათჳს და კეთილსა ზედა მოყუისასა, ხოლო ჩუენ ვყავთ იგი ბოროტსა ზედა; გუაქუს ბუნებით ძკრისჯსენებაცა, არამედ მტერთა მიმართ სულისათა, და ჩუენ შევცვალებთ იგი ძმათა მიმართ.

179. სულმან მოსწრაფემან აღადგინნის ეშმაკნი რისხვად მის ზედა, ხოლო რაჟამს განმრავლდიან ბრძოლანი, განმრავლდიან გკრგკნნიცა.

180. რომელი არა მოინყლოდის მბრძოლთაგან, არცა გკრგკნოსან იქმნას, ხოლო რომელი მონევენულთა დაცემათა ზედა არა უსასო იქმნას, არცა დააცადოს ბრძოლად, იგი ანგელოზთა მიერ, ვითარცა მჯნე მჯედარი იდიდოს.⁵⁵

181. რომელმან-იგი სამი ღამე დაყო ქუეყანასა შინა, ცხოველ არს უკუნისამდე; ხოლო რომელი სამთა ჟამთა მძლე-ექმნას, არღარა იძლიოს, არცა მოკუდეს უკუნისამდე.⁵⁶

182. უკუეთუ განგებულებით განსწავლისა ჩუენისათჳს შემდგომად ჩუენ შორის აღმოსლვისა, საცნაურმან მან მზემან ცნას კეთილად ჟამი დასლვისა თჳსისად ჩუენგან, მაშინ დადვას ბნელი საფარველად თჳსად და იქმნას ღამე, და მას

⁵⁵ „მონევენულად დაცემად“ იტყჳს აღტაცებით ქმნილთა უჯეროთა, გინა საქმეთა, გინა სიტყუათა, რადთა არა წარიკუეთოს კაცმან სასოებად, რაჟამს ესევეითარი რადმე მოინიოს, არამედ, დაღაცათუ დაეცეს, კუალად იღუანოს და აღდგეს და ჰბრძოდის მტერთა, ვითარცა არადაცემული. და ეგევეითარი იდიდოს ანგელოზთაგან, ვითარცა ძმად იგი, რომელსა შეემთხვა სიძვად და არა იძლია სასონარკუეთილებისაგან, ამისთჳსცა გამოეცხადა ბერსა მას, ვითარმედ მან რომელმანმე ძმამან შემდგომად დაცემისა სძლო მტერთა.

⁵⁶ ქრისტემან სამი ღამე დაყო საფლავსა შინა და უკუნისამდე ცხოველ არს, ხოლო რომელმან „სამთა ჟამთა“ სძლოს, იგი არღარა მოკუდეს. ხოლო „სამნი ჟამნი“ არიან სიყრმისად და სიჭაბუკისად და სიბერისად. რომელმან ამა სამთა ჟამთა სძლოს ვნებასა მას, არღარა შეემთხვოს სიკუდილი სულიერი ცოდვისა მიერ.

შინა ვიდოდთან ჩუენ შორის პირველ წასრულნი ჩუენგან ველურნი იგი ლეკუნი ლომთანი და ყოველნივე მწეცნი მალნარისა მის ეკლოანთა ვნებათანი და ყვროდიან ტაცებად ჩუენისა მის სასოებისა და ითხოვდენ საზრდელსა ვნებათასა ანუ საქმით ანუ გულისსიტყვით (შდრ. ფსალმ. 103, 19-21).

183. მოფენასა მზისასა სიმდაბლისა მიერ ჩუენ შორის შეკრბიან კუალად მწეცნი და სადგურთავე თქსთა დაადგრიან, რომელ არიან გემოთმოყუარენი სულნი, და არლარა ჩუენ თანა იყვნიან. მაშინ იტყოდით ეშმაკნი იგი, ვითარმედ: „განადიდა უფალმან ყოფად მათ თანა კუალად წყალობისა მისისა“. და ჩუენ ვიტყოდით: „ჰე, განადიდა უფალმან ყოფად ჩუენ თანა და ვიქმნენით ჩუენ სახარულევან, ხოლო თქუენ – საწყალობელად ოტებულ“ (შდრ. ფსალმ. 125,3).

184. აჰა ესერა, ზე ზის უფალი ღრუბელსა სულ-მცირესა, რომელ არს სული, აღმაღლებული ყოვლისაგანვე გულისთქუმისა მიწისაგანისა. და შევიდეს ეგკპტედ, რომელ არს გული, პირველ დაბნელებული ვნებათაგან, და შეიძრნენ და დაეცნენ ჳელით-ქმნულნი იგი კერპნი და გულისსიტყუანი იგი ბოროტნი მის გონებისანი (შდრ. ეს. 19,1).

185. უკუეთუ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ივლტოდა ჰეროდესაგან ჳორციელად, რომელი-იგი ყოველსავე შემძლებელ იყო, განისწავლებოდედ ამპარტავანნი, რადთა არა მისცემდენ თავთა თქსთა ნებსით განსაცდელთა. რამეთუ იტყუს, ვითარმედ: „ნუ მისცემ შეძრვად ფერჳსა შენსა და არა ჰრულეს მცველსა შენსა“ (ფსალმ. 120,3).

186. შეითხზების ახოვნებასა თანა სიმალლჳ, ვითარცა შეითხზების კვპაროზსა თანა, რომელსა-იგი ეწოდების ზმილაკი.

187. კეთილითა გამოძიებითა გამოვეძიებდეთ თავთა თქსთა, თუ არს კეთილი რად ჩუენ თანა ჭეშმარიტი, და ესრეთ ვპოვნეთ თავნი ჩუენნი ნაკლულევან ყოვლისაგანვე კეთილისა ჭეშმარიტისა.

188. ეძიებდ ვნებათაცა სახესა დაუცადებელად და ჰპოო, ვითარმედ მრავალნი არიან შენ შორის, რომელთაცა უძლურ რად ვიყვნეთ გონებითა, ვერ ვხედავთ. ხოლო უკუეთუ განათლდენ თუაღნი სულისანი, მაშინ ვხედვიდეთ მათ განცხადებულად, რამეთუ ვიდრემდის იგინი უფლებდენ ჩუენ შორის, ვერ ძალ-გვც ხედვად მათი.

189. უფალი გონებასა განიკითხავს, ხოლო საქმესა ძალისაებრსა ეძიებს და ყოველსავე – კაცთმოყუარებით.

190. დიდ არს კაცი, რომელი არა დააკლებდეს ქმნად საქმეთა, რომელნი ძალსა მისსა იყვენენ, ხოლო უდიდეს მისსა არს, რომელი სიმდაბლით ძალისა უმეტესთაცა ჴელ-ჴყოფდეს.

191. მრავალგზის ეშმაკთა განგუაყენნიან სულმცირეთა საქმეთაგან და, რომელთაგან იყოს სარგებელი ჩუენი, და გუანუევდიან მძიმეთა და ძალისა უმეტესთა საქმეთა ქმნად.

192. ვპოებ იოსებისთვს, ვითარმედ გარემიქცევისათვს ცოდვისაგან და არა უვნებლობისათვს სანატრელ იქმნა.

193. საძიებელ არს, თუ რომელთა და რაოდენთა ცოდვათა გარემიქცევასა აქუს გვრგვნი. რამეთუ სხუად არს სივლტოლად ბნელისაგან, ხოლო უდიდეს არს მივლტოლად მზისა მიმართ.

194. სიბნელჴ მომატყუებელ არს შებრკოლებისა, და შებრკოლებად – დაცემისა, და დაცემად – სიკუდილისა.

195. ღვნისაგან დაბნელებულთა და დაცემულთა მრავალგზის განიბანეს წყლითა, ხოლო ვნებათაგან დაცემულთა განიბანეს ცრემლითა.

196. სხუად არს აღმრლუევად გონებისად, და სხუად არს შემფოთებად, და სხუად არს დაბნელებად; და პირველსა მას განჴკურნებს მარხვად, და მეორესა – დაყუდებად, ხოლო მესამესა – მორჩილებად და უფალი იესუ, რომელი მორჩილ იქმნა.

197. არად დამაყენებელ არს, რადთა სახედ განწმედისა სულისა მოვიხუნეთ განმწმედელნი იგი ნივთიერთა მათ

სამოსელთანი. რამეთუ მათ განსწმედს და განაშუენებს მმურკნველი და საღებავი, ხოლო სულიერი სამმურკნველოდ არს კრებული მონასტრისად, რომელი-იგი ბილწებათა და სიზრქესა და ცოდვათა სულისათა განსწმედს, ხოლო რა-ჟამს მას შინა სულმან აღიძარცვოს ყოველი სიზრქე გულსწყრომისა და ძკრისწსენებისად, მერმე ექმნების მას და-ყუდებად საღებავ შუენიერ და ფეროან.

198. ვიეთნიმე იტყვნ, ვითარმედ დაცემაჲ პირველთავე ცოდვათა შინა იქმნების ნაკლულევანებისაგან სინანული-სა პირველთა მათ დაცემათაჲსა; ხოლო საძიებელ არს, თუ ყოველმან, რომელიცა არა დაეცეს პირველთავე ცოდვათა, ღირსად და სრულად შეინანა?

199. დაეცეს ვიეთნიმე პირველთავე ცოდვათა შინა, რამეთუ პირველნი იგი დავიწყებისა უფსკრულსა დაანთქეს, და არღარა იწსენებდეს მათთჳს მოწვენადთა სატან-ჯველთა; ანუ ამისგან, რამეთუ გემოთმოყუარებისა მიერ ღმერთი კაცთმოყუარედ უმეტეს ზომისა შეჰრაცხეს; ანუ-თუ ამისგან, რამეთუ თჳსისა ცხორებისა სასოებაჲ წარი-კუეთეს. ხოლო ნუჟკუე მაბრალოს ვინმე, თუ არა ესე-ცამცა ვთქუ, ვითარმედ – ანუ ამისგან, რამეთუ მტერნი ესე ჯორცნი ვერ შეკრნეს, რომელი ჩუეულებისა ძალითა ჰმძლავრობდა მათ.

200. საძიებელ არს, თუ ვითარ, ვინაჲთგან სული უჯორ-ცო და უნივთო არს, მომავალთა მისდა უჯორცოთავე ვი-თარ არიან ეგრეთ, ვერ ხედავს, გარნა ნუჟკუე შეერთებისა მისთჳს არს ესე, რომელი უწყის მხოლომან მან, რომელმან შეაერთა.

201. მკითხა ძმამან ვინმე სულიერმან და სწავლულმან საქმე რადმე, რომელი მე მინდა სწავლის, და მრქუა მე: „მითხარ, თუ რომელნი ცოდვანი დაამდაბლებენ გონებასა, ანუ რომელნი აღამაღლებენ?“ ხოლო მე აღვიარე უმეტრე-ბად. მაშინ მრქუა მე, ვითარმედ: „დავდვა შენ თანა მცირედ

საფუარი სწავლისაჲ, და მერმე შენ გამოიძიე კეთილად, რამეთუ სიძვაჲ და მრისხანებაჲ და ნაყროვანებაჲ და მოწყინებაჲ და ძილი ვერ აღამაღლებენ რქასა გონებისასა, ხოლო ვეცხლისმოყუარებაჲ და მთავრობისმოყუარებაჲ და მრავალმეტყუელებაჲ და განკითხვაჲცა და სხუანი მრავალნი ბოროტსა ზედა ბოროტსა შესძინებენ და აღამაღლებენ გონებასა“.

202. რომელიცა მივიდა ერისკაცთა მიმართ, ანუ-თუ შეიწყნარნა იგინი სენაკსა თვსსა, და შემდგომად განშორებისა მათისა ეცა მას ისარი მწუხარებისაჲ და არა უფროჲსად მხიარულ იქმნა, რამეთუ განერა საფრჯისა და დაბრკოლებისაგან, ესევითარსა ანუ ცუდადმზუაობრობისა, ანუ სიძვისა ეშმაკი ემღერის.

203. პირველად გკლირს, რაჲთა ვხედვიდეთ, თუ ვინაჲთ კერძო აღდგებიან ქარნი, რაჲთა არა რაჟამს აღვმართოთ აფრად, მაბრკოლებელ მექმნეს გზისა ჩუენისა.

204. ნუგეშინის-ეც ბერთა მშრომელთა სიყუარულით, რომელთა შემუსრნეს თავნი მათნი შრომითა მარხვისაჲდა და მიეც მცირედ განსუენებაჲ.

205. აიძულებდ ქაბუკთა მარხვად, რომელთა შემუსრნეს სულნი მათნი ცოდვითა და მოაწსენებდ მათ სატანჯველთა მათ საუკუნეთა.

206. შეუძლებელ არს, ვითარცა ზემო გკთქუამს, რაჲთამცა გან-რაჲ-ვედით სოფლისაგან, მეყსეულადმცა განვნმდით სრულიად ნაყროვანებისა და ზუაობისაგან. გარნა ნუმცა ნაყროვანებითა ვენყვებით ზუაობასა, არამედ უფროჲსად მარხვითა ვევედრნეთ უფალსა, რაჲთა მიწსნეს მისგან, რამეთუ მონევენად არს ჟამი, და ანვე არს, რომელთაცა ენებოს, რაჲთა დაამორჩილოს იგიცა უფალმან ქუეშე ფერჯთა ჩუენთა.

207. არა-თუ ერთნი ბრძოლანი ჰქონან ქაბუკთაცა და ბერთაცა, მო-რაჲ-ვიდენ მონაზონებად, რამეთუ არა ერთ

არიან სენნი მათნი. ამისთვისცა ნეტარ არს სანატრელი სიმდაბლჳ, რამეთუ ჭაბუკთაცა და ბერთაცა ექმნების უცთომელ სინანულად.

208. ნუ განკვრდები სიტყუასა ამას ზედა, რომლისაჲ მეგულების თქუმაჲ: რამეთუ არიან მცირედნი, გარნა არიან სულნი წრფელნი და უმანკონი და უმეცარნი მანქანებასა და გულარძნილებასა, რომელთაცა კაცთა თანა ყოფაჲ სრულიად წინააღუდგების. რამეთუ ძალ-უც მათ დაყუდებით მოძღუარსა თანა ოდენ ყოფითა, ვითარცა კიბითა ზეცად აღსლვად, და შფოთთაგან მონასტერთაჲსა და ამბოხებათა დარჩომად შეუხებელად და უვნებელად.

209. სიძვისმოყუარეთა – კაცნი, და უკეთურთა – ანგელოზნი განკურნებენ, ხოლო ამპარტავანთა – უფალი მხოლოდ.

210. ესეცა სახლჳ სიყუარულისაჲ იქმნის მრავალგზის, რაჟამს მოვიდის რაჲ მოყუასი ჩუენდა მომართ, მიუტევით ნებასა მისსა ზედა, რაჲცა ენების, და ყოველსავე ზედა ვაჩუენით პირი მხიარული.

211. გამოვიძიოთ, თუ ვითარ და ვიდრემდის და ოდეს იქმნების სინანული დამჴსნელ კეთილთა, ვითარცა-იგი ბოროტთა დამჴსნელ არს.⁵⁷

212. გამოვიძიოთ და გულისჴმა-ვყოთ კეთილად, თუ ოდეს, ანუ რომელსა ზედა, ანუ ვიდრემდის გკლირს დადგრომაჲ და ბრძოლაჲ ნივთსა მას ვნებათასა, რამეთუ იქმ-

⁵⁷ დაღაცათუ არა ყოვლადვე, არამედ მრავალგზის დამჴსნელი არს სინანული კეთილთაჲ, რამეთუ, რაჟამს კეთილსა რასმე ვიქმოდით და შევინანოთ იგი და სხუაჲ რაჲმე მოვიგონოთ და მნუხარე ვიქმნეთ, თუ რად არა იგი ვქმენით, მაშინ განვაბნევთ ჩუენ მიერ შეკრებულსა მას კეთილსა. და ესე გულისჴმა-ვყოთ მათ შორის, რომელნი წარემატნიან მორჩილებასა შინა და მერმე შეინანიან, თუ რად არა დაყუდებაჲ მოიგეს და უდებ-ყვიან მორჩილებაჲ. მაშინ დაჴსნასა იქმს სინანული იგი მის კეთილისასა, ვიდრემდის დალინეს მოგებულნი იგი კეთილნი, და მაშინ იხილოს დაცემაჲ თჳსი.

ნების სივლტოლისაცა გამორჩევა უძღურებისა ჩუენისათვის, რადთა არა მოვკუდეთ.

213. ვიხილოთ და გულისჯმა-ვყოთ, თუ რომელი ეშმაკნი აღამაღლებენ გონებასა, და რომელი დაამდაბლებენ, და რომელი განაფიცებენ, და რომელი იჩემებენ ტყუილით ნათელსა, და რომელი დაჯსნილ გუყოფენ, და რომელი მოსწრაფე, და რომელი მჭმუნვარებასა მოანევენ, და რომელი სიხარულსა.

214. ნუ გიკვრს, უკუეთუ მოვიდეთ რად მონაზონებად, და დასაბამსა ვხედვიდეთ თავთა ჩუენთა უვნებულესად, ვიდრელა რაჟამს სოფელსა შინა ვიყვენით. რამეთუ ჯერ არს, რადთა პირველად აღიძრნენ ნივთნი იგი ვნებათანი და განვიდენ, და ეგრე მოვიდეს სიმრთელჴ. ანუ-თუ პირველ მვეცნი იგი დამალულ იყვნეს ჩუენ შორის და ვერ ვხედვიდით მათ, ხოლო ან ვიხილენით.

215. რაჟამს მოინოს რადმე და სისრულედ მიახლებულნი იგი მცირესა რასმე ზედა იძლინენ ეშმაკთაგან, ყოვლითავე ღონისძიებითა ისწრაფიან და ასწილად აღმოიზღვევენ საქმესა მას.

216. ვითარცა-იგი ქარნი ოდესმე პირსა ზღვსასა აღსძრვენ, რაჟამს არა ფიცხელ იყვნენ, და ოდესმე კუალად უფსკრულითგან აღამრლუევენ, ეგრეთვე ვნებანი არიან, რამეთუ ვნებულთა სიღრმეთაგან გულისათა შეაშფოთებენ, ხოლო სრულთა-რე – პირსა გონებისასა. და ამისთვისცა მსწრაფლ მოიპოებენ იგინი თვისსავე მას დაწყნარებასა.

217. სრულთაჲ არს საქმჴ ესე, რადთა მარადის სცნობდენ სულსა შინა თვისსა, თუ რომელი გულისსიტყუაჲ არს სწინდისაგან მოსრული, და რომელი არს ღმრთისაგან, ანუ რომელი არს ეშმაკთაგან. რამეთუ არა-თუ ეშმაკნი ყოველსავე პირველითგან ბოროტად მოაგონებენ, ამისთვის ძნელ არს ამისი ცნობაჲ.

თავნი სხუანი სათნოებათათჳს

218. სარწმუნოებაჲ მტკიცჳ მოლუანებისა დედა არს, ხოლო წინააღმდეგომი ამისი საცნაურ არს.

219. სასოებაჲ კეთილი მომაძულებელ არს სოფლისა, ხოლო წინააღმდეგომი მისი საცნაურ არს.

220. სიყუარული ღმრთისაჲ მიზეზი არს უცხოებისაჲ, ხოლო წინააღმდეგომი მისი საცნაურ არს.

221. მორჩილებაჲ შვა ბრალობამან თავისა თჳსისამან და სურვილმან შეურაცხებისამან.

222. მარხვაჲ დედაჲ არს სიმრთელისაჲ, მომაჴსენებელი სიკუდილისაჲ.

223. ჴსენებაჲ სიკუდილისაჲ და წურთაჲ ქრისტეს ვნებათაჲ შემწე არიან სინმიდისა.

224. დაყუდებაჲ უჩინომყოფელი არს ჴორცთა მჴურვალებისაჲ.

225. მღჳძარებაჲ და მარხვაჲ შემმუსრველ არიან გულისსიტყუათა ბოროტთა და ბილნთა და დამაცხრობელ ბრძოლათა.

226. სარწმუნოებაჲ და უცხოებაჲ მკლველნი არიან ვეცხლისმოყუარებისანი; ხოლო მონყალებამან და სიყუარულმან ჴორცნიცა თჳსნი მიცემაჲ სცნიან.

227. ლოცვაჲ სამარადისოდ წარმწყმედელი არს მონყინებისაჲ; ხოლო ჴსენებაჲ საშჳელისაჲ მომატყუებელ არს მოსწრაფებისა.

228. წამალი გულისწყრომისაჲ არს სიყუარული გინებისა და კდემისაჲ; ხოლო გალობაჲ და მონყალებაჲ და უპოვარებაჲ მომშთველ არიან მწუხარებისა.

229. სიძულილი ხილულთაჲ შემაცუარებელი არს უხილავთაჲ; ხოლო დუმილი და დაყუდებაჲ – მბრძოლ ცუდადმზუაობრობისა. უკუეთუ კულა საშუალ იყოფები, შეურაცხებაჲ შეიყუარე.

230. ამპარტავანებად ხილული განკურნოს მოქალაქობამან შემუსრვილმან და უნდომან; ხოლო უხილავი – უხილავმან მან წინასაუკუნეთა შობილმან.

231. ყოველთა ხილულთა ქუენარმავალთა მკლველი არს ირემი; და უხილავთა მწეცთა ყოველთა მკლველი არს სიმდაბლც.

232. ერთი არს ბუნებითაგანი, რომელი ყოველთავე უხილავთა საქმეთა გუასწავებს.*

233. ვითარცა გუელსა ვერ ძალ-უც აღძარცვად ძუელისა მის ტყავისა, არა-თუ შევიდეს ჯურელსა ინროსა, ეგრეთვე ვერცა ჩუენ აღვიძარცუნეთ პირველნი იგი ჩუეულებანი და ბილწებანი სულისანი და სამოსელი ძუელისა მის კაცისად, უკუეთუ არა წარვლოთ ინროდ იგი და საჭიროდ გზად მარხვისა და შეურაცხებისად.

234. ვითარცა ვერ შემძლებელ არს ფრიად განსუქებული მწყერი სიმაღლედ ცისად აღსლვად, ეგრეთვე – რომელი განასუქებდეს ჯორცთა თვსთა.

235. ვითარცა მწკრესა ზედა განმჭმარსა ვერ განისუენიან ღორთა, ეგრეთვე ჯორცთა ზედა განმჭმართა შრომიითა ვერ განისუენიან ეშმაკთა.

236. ვითარცა სიმრავლც კუამლისად მრავალგზის დაშრეტს ცეცხლსა, ეგრეთვე მწუხარებად უზომოდ დააბნელებს სულსა და განაწმობს ცრემლთა.

237. ვითარცა ბრმად მოისარი ვერ წარემართოს, ეგრეთვე მონაფც მაცილობელი წარწყმდეს.

238. ვითარცა რკინამან კეთილმან მოლესის რკინად ლბილი, ეგრეთვე ძმამან მოსწრაფემან მრავალგზის აცხოვნოს უდები.

239. ვითარცა კუერცხი, რომელი დაიმაღლის სკორესა შინა და გამოისხნის მართუენი, ეგრეთვე გულისსიტიყუანი, რომელნი არა გამოაცხადნე, აღასრულნე იგი საქმით.

* ეგრეთ ვჰგონებ, თუ სჯინდისსა იტყვს.

240. ვითარცა ცხენნი ასპარეზსა შინა, რომელნი ჰყდე-ბიედ ურთიერთას, ეგრეთვე – კრებული ძმათა კეთილთაჲ.

241. ვითარცა ღრუბელმან დაფარის ბრწყინვალეზაჲ მზისაჲ, ეგრეთვე ბოროტნი გულისსიტყუანი დააბნელებენ გონებასა.

242. ვითარცა რომელსა ზედა გამოვდის ბრძანებაჲ სიკუდილისაჲ, და არღარა იკითხავნ იგი, არცა იტყუნ რასა მღერისა და ბასრობისათჳს, ეგრეთვე არცა ჭეშმარიტმან მგლოვარემან აღავსოს მუცელი თჳსი.

243. ვითარცა გლახაკთა, იხილნიან რაჲ საუნჯენი მეფეთანი, უმეტესად ცნიან სიგლახაკჳ თჳსი, ეგრეთვე სული, რომელი იკითხვიდეს მალალთა მათ სათნოებათა მამათა და მონამეთასა, უმეტესად დამდაბლდეს გონებაჲ მისი.

244. ვითარცა რკინაჲ უნებლიაჲდცა ჰმორჩილებს მალნიტსა, ეგრეთვე, რომელნი დაეჩვენენ ვნებასა, იძძლავრებიან მის მიერ იძულებით.

245. ვითარცა ზეთი დაანყნარებს ზღუასა, ეგრეთვე მარხვაჲ ჯორცთა ჯურეებასა დააცხრობს.

246. ვითარცა წყალი, შეინრდის რაჲ, აღმალღდის ზე, ეგრეთვე სული, შეინრებული ბრძოლათაგან და განსაცდელთა, ამალღდის სინანულითა ღმრთისა მიმართ და განერის მაჭირვებელთა მისთაგან.

247. ვითარცა, რომელსა ნელსაცხებელი სულნელი აქუნდეს, დაღაცათუ მას არა ენებოს, საცნაურ იქმნების სულნელებისა მისთჳს, ეგრეთვე, რომელსა თანა სული უფლისაჲ იყოს, საცნაურ იქმნების სიტყვთა და სიმდაბლისა მისისაგან ყოველთა მიერ.

248. ვითარცა ქარნი აღაშფოთებენ ზღუასა, ეგრეთვე გულისწყრომაჲ უფროჲს ყოველთა სენტა აღაშფოთებს გონებასა.

249. ვითარცა საქმჳ, რომელი თუალსა არა ეხილოს, არა ფრიად სურის მისთჳს, ეგრეთვე ქალწულნი ჯორციოთა

სუბუქ არიან ბრძოლათაგან, ვიდრე გამოცდილნი ბოროტისანი.

250. ვითარცა საუნჯეთა მეფისათა, რომლისა გარემო მცველნი იყვნინ, არა ფრიად იკადრებენ მპარავნი მიახლებად, ეგრეთვე, რომელმან დაამკვდროს ლოცვაჲ გულსა თვისსა, არა ფრიად წარიტყუენოს უხილავთა მათ ავაზაკთაგან.

251. ვითარცა არა გამოვალს თოვლისაგან ცეცხლი, ეგრეთვე, რომელი ეძიებდეს პატივსა ამის სოფლისასა, ვერ მიემთხვოს პატივსა ზეცისასა.

252. ვითარცა ერთმან ნაკუერცხალმან მრავალგზის ფრიადი ნივთი დაწვს, ეგრეთვე იპოვის ერთი კეთილი, რომელმან აღწოცის სიმრავლენი ცოდვათანი.

253. ვითარცა ვერ შესაძლებელ არს მოკლვაჲ მწყეტაჲ თვნიერ აბჯრისა, ეგრეთვე ვერცა მრისხანებისა მოკლვაჲ – თვნიერ სიმდაბლისა.

254. ვითარცა ბუნებაჲ კაცისაჲ შეუძლებელ არს თვნიერ საზრდელისა, ეგრეთვე კაცსა არა უღირს უდებებაჲ წამერთცა ვიდრე სიკუდილადმდე.

255. ვითარცა მზისა ნათელი ჭურელისა მიერ რაჲ შევიდის სახლად, ყოველივე განანათლის ვიდრელა მცირეცა იგი მტუერი იხილვებინ, ეგრეთვე, რაჲამს შევიდეს შიში ღმრთისაჲ გულსა კაცისასა, იხილნის მან ყოველნი ცოდვანი თვისნი, ცხადნი და დაფარულნი.

256. ვითარცა კირჩხიბი ოდესმე წალმართ ვალნ და ოდესმე უკულმართ, და ვერ წარემართის, ეგრეთვე სული, რომელი ოდესმე იცინოდის და ოდესმე ტიროდის და ოდესმე იშუებდეს, ვერარაჲ ირგოს მან.

257. ვითარცა მძინარისაგან წარპარვაჲ რაჲსამე ადვილ არს, ეგრეთვე, რომელნი მახლობელ სოფლისა იყვნენ, ადვილად განიდარცუნენ საქმეთაგან კეთილთა.

258. ვითარცა, რომელი ჰბრძავნ ლომსა, უკუეთუ უდებყოს წამ ერთცა, მოიკლვის, ეგრეთვე, რომელი ჯორცთა

თვსთა ჰბრძოდის, უკუეთუ განუსუენებდეს მათ, იძლიოს მათ მიერ.

259. ვითარცა, რომელი აღვიდოდის კიბესა განტეხილსა, ბოროტი შეემთხვოს მას, ეგრეთვე ყოველი პატივი და დიდება კაცობრივი წინააღმდეგომ არიან სიმდაბლისა.

260. ვითარცა შეუძლებელ არს, თუმცა კაცსა მშიერსა არა მოეწსენებოდა პური, ეგრეთვე შეუძლებელ არს თვნიერწსენებისა სიკუდილისა და საშჯელისა ცხორებად.

261. ვითარცა წყალი აღვოცს წერილსა, ეგრეთვე ცრემლნი – ცოდვათა.

262. ვითარცა რომელნიმე წერილნი წყლითა არა აღივოცებიან და აღვოცთ მათ სხვთა რაითმე ღონითა, ეგრეთვე სულნი, რომელთა არა აქუნ ცრემლნი, აღვოცნიან იგი სულთქუმითა და გლოვითა და ურვითა დიდითა.

263. ვითარცა სკორემან განამრავლის მატლი, ეგრეთვე სიმრავლემან საქმელთამან განამრავლნის დაცემანი და გულისსიბყუანი ბოროტნი და შეგინებულნი.

264. ვითარცა, რომლისა ფერწნი შეკრულ იყვნიან, ვერ შემძლებელ არნ სლვად, ეგრეთვე, რომელი შეიკრებდეს საფასეთა, ზეცად აღსლვად ვერ შემძლებელ არს.

265. ვითარცა წყლული ახალი უადვილესად განიკურნების, ეგრეთვე დაძუელებულნი წყლულებანი სულისანი ძნად განიკურნებიან, და შრომით, დაღაცათუ განიკურნენ.

266. ვითარცა შეუძლებელ არს მკუდრისა სლვად, ეგრეთვე შეუძლებელ არს, რომელმან სასოებად წარიკუეთოს, ცხორებად მისი.

267. რომელი იტყოდის, თუ სარწმუნოებად მაქუს მართალი და იქმოდის ცოდვასა, მსგავს არს იგი პირსა, რომელსა არა აქუნდიან თუალნი.

268. რომელსა არა აქუნ სარწმუნოებად მართალი და იქმნ მოლუანებათა, მსგავს არს კაცსა, რომელი აღმოასხამნ წყალსა და შთაასხამს ჭურსა განწურეტილსა.

269. ვითარცა ნავსა, რომელსა აქუნდეს მენავეთმოძლუარი კეთილი, მშკდობით შევიდის ნავთსაყუდელად, ეგრეთვე სული, რომელსა აქუნდეს მწყემსი კეთილი, მშკდობით აღვიდეს ზეცად, შეწევნითა ღმრთისაჲთა, უკუეთუ მორჩილი იყოს, დაღაცათუ მრავალნი ცოდვანი ექმნენ.

270. ვითარცა, რომელი ვიდოდის გზასა უცნაურსა თჳნიერ წინამძღურისა, ადვილად მოსცთეს, დაღაცათუ გონიერი იყოს, ეგრეთვე, რომელი ჴელმწიფებითა თავისა თჳსისაჲთა და ნებასა ზედა თჳსსა ვალნ მონაზონებასა შინა, პირველითგანვე ადვილად წარწყმდეს იგი, დაღაცათუ ყოვლისა სოფლისა სიბრძნჳ აქუნდეს.

271. უკუეთუ ვინმე უძღური იყოს ჴორცითა და ექმნენ ცოდვანი მრავალნი, გზასა სიმდაბლისასა და საქმეთა მისთასა ვიდოდენ, რამეთუ სხუებრ ცხორებასა ვერ ჰპოვებს.

272. ვითარცა შეუძლებელ არს, რაჲთამცა მრავალჟამ დასწეულეზული ერთსა წამსა პირველსავემცა ძალსა და სიმრთელესა მოვიდა, ეგრეთვე შეუძლებელ არს, თუმცა კაცმან ვნებულმან მეყსა შინა მოსპოლნა ვნებანი თჳსნი სრულიად.

273. ყოველსავე ვნებასა და სათნოებასა, რომელიცა გაქუნდინ, დაისწავლიდი საზომსა მისსა, და მარადის უმზირდი, თუ ოდეს აღორძნდების, ანუ ოდეს დამცირდების, და ესრეთ სცნა წარმართებაჲ და საზომი შენი.

274. ვითარცა, რომელნი ოქროსა თიჯად სცვალებდენ, დიდად დაშჭირდების, ეგრეთვე – რომელნი ჴორციელისა პატივისათჳს სულიერთა სათნოებათა გამოაცხადებდენ.

275. შენდობაჲ ცოდვათაჲ მრავალთა მოიპოეს მსწრაფლ, ხოლო უვნებლობაჲ მსწრაფლ არავის მოუგიეს, რამეთუ ამას ღმრთისა შეწევნაჲ უჭმს და სიგრძჳ ჟამთაჲ და შრომაჲ ფრიადი.

276. გულისჯმა-ვყოთ, თუ რომელნი მჴეცნი, გინა მფრინველნი ჰბრძვანან ყანასა ჩუენსა ჟამსა თესვისასა, ანუ

რომელნი – ჟამსა აღმოცენებისასა, ანუ რომელნი – ჟამსა მკისასა, რადთა ჯეროვნადცა აღვჰმართნეთ მახენი და დაუდგნეთ საფრწენი.

277. ვითარცა უჯერო არს, უკუეთუ თავქედი ვის ედვას და მოიკლას თავი თვისი, ეგრეთვე ბოროტ არს ვიდრე სიკუდილადმდე წარკუეეთად სასოებისად.

278. ვითარცა უშუერებად არს, უკუეთუ ვინ დაჰფლას მამად თვისი, და მო-რად-იქცეს დაფლვისა მისგან, მეყსეულად ყოს ქორნილი, ეგრეთვე უჯერო არს მათდა, რომელნი იგლოვენ ცოდვათა მათათავს, რადთამცა ეძიებდეს ამას სანუთროსა კაცთაგან პატივისა, ანუ განსუენებასა, ანუ დიდებასა.

279. ვითარცა სხუად არს საყოფელი მთავართად და სხუად არს დაშჯილთად, ეგრეთვე უჭმს შეცოდებულთა, რადთა შეცვალებული საქმწ და საყოფელი საქიროდ მოიგონ, და არა ვითარ-იგი უცოდველთად.

280. ვითარცა მწედარი, რომლისა პირი მონყულ არს ბრძოლასა შინა, არა უგულებელს-ყვის მეფემან, არამედ მისცის ნიჭი და პატივი, ეგრეთვე მონაზონი, რომელსა ფრიადნი ჭირნი და განსაცდელნი თავს-ესხნიან ბრძოლასა შინა ეშმაკთასა, გვრგვნოსან-ყოს იგი მეუფემან საუკუნემან ქრისტე გვრგვნითა მით სიხარულისადათა.

281. სიბრძნწ ბუნებით არს სულსა შინა, ხოლო ცოდვად წარსწყმედს სიბრძნესა მას.

282. ცნობად ბოროტისად შობს დაცხრომასა მისსა, ხოლო ცნობად ნაშობი არს სჯინდისისად, რომელ არს გონებად მეცნიერი კეთილისა და ბოროტისად.

283. სჯინდისი არს მამხილებელად ჩუენდა მოცემული ღმრთისა მიერ ბოროტთათვის და მცველი ჩუენი, განძლიერებული ჩუენ შორის ნათლისღებისაგან, რომელი-იგი, რაჲზომცა განწმდებოდის, უმეტესად შემძლებელ არს მხილებად, და რაჲზომცა დაითრგუნვოდის, მოუძღურდების.

ამისთვისცა უნათლავთა ვერ ამხილებს ძლიერად ბოროტი-სათკს, არამედ უძლურად, ხოლო რომელნი უსმენდეს მას ნათელღებულნი, მათგან დააცხრობს ბოროტთა; და და-ცხრომად ბოროტთაგან შობს სიძულილსა მათსა, ხოლო მო-ძულებად ბოროტისა დასაბამი არს სინანულისა, და დასა-ბამი სინანულისა დასაბამი არს ცხორებისა, და დასაბამი ცხორებისა განმნმედელი არს გონებისა, და განმნმედად გონებისა მშობელი არს მოღუანებისა, ხოლო მოღუანებად დასაბამი არს სათნოებათა, და დასაბამი სათნოებისა ყუა-ვილი არს სულისა, ხოლო ნაშობი სათნოებათა არს მჭურ-ვალებად გულისა, და მჭურვალებად გულისა მშობელი არს ნაყოფთა კეთილთა, და ჩუეულება სათნოებისა მშობელი არს შიშისა უფლისა, ხოლო შიში შობს დამარხვასა მცნე-ბათასა, და დამარხვად მცნებათა სახე არს სიყუარულისა, ხოლო დასაბამი სიყუარულისა განმრავლება არს სიმდაბ-ლისა, და სიმრავლჳ სიმდაბლისა ასულ არს უვნებელო-ბისა, ხოლო უვნებელობისა მოგებად სრულება არს სიყუა-რულისა, და სრულება სიყუარულისა დამკვდრება არს ღმრთისა უვნებელობისა მიერ გულითა წმიდათა შორის, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ, რომლისა არს დიდება და სიმტკიცჳ, ან და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.